დემოკრატია და ადამიანის უფლებები

იწყება ჩვენით

ევროპის საბჭოს ქარტია
დემოკრატიული მოქალაქეობისათვის
განათლებისა და ადამიანის უფლებათა
სწავლების შესახებ

ქარტია
ყველასათვის

სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭოს ქარტია
დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა
და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ:
გზამკვლევი განათლების სპეციალისტებისთვის

ამ ნაშრომში წარმოდგენილ მოსაზრებებზე პასუხისმგებელნი არიან ნაშრომის ავტორები და ავტორისეული მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია ამ გამოცემაში შესული მასალის თარგმნა, ბეჭდვა ან გავრცელება ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, ელექტრონული (CD-Rom, ინტერნეტი და ა. შ.), ფოტოგრაფიული, წერილობითი თუ ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების სხვა რომელიმე საშუალებით, კომუნიკაციის დირექტორატის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე (F-67075 სტრასბურგი Cedex publishing@coe.int).

რედაქტორი: ელენა დიეზ ვილაგრასა

რეცენზენტი: ანეტ შნაიდერი

კორექტირება: პროფესიული განვითარების პროგრამა (SPDP)

წიგნის დიზაინი და ილუსტრაციები: პამპანეო

© ევროპის საბჭო, 2012 წლის ოქტომბერი
ხელახლა გამოცემულ იქნა 2013 წლის სექტემბერში

მთარგმნელი: მაია გვიტიძე
რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი
კორექტორი: მაია ნაკაშიძე
ტექნიკური რედაქტორი: ბესიკ დანელია

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
2014

განათლების სპეციალისტთა გზამკვლევის შინაარსი

წინასიტყვაობა

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ქარტიასთან დაკავშირებული სასწავლო და საგანმანათლებლო მასალები

1. შესავალი
   - ევროპის საბჭო
   - ქარტია

2. როგორ ვიმუშაოთ ქარტიაზე ახალგაზრდების ჯგუფთან
   - ქარტია განათლების კონტექსტში
   - წყაროები - ევროპის საბჭოს პუბლიკაციები
   - ადაპტირება
   - პოსტერის გამოყენება
   - „ქარტია ყველასათვის“: რეკომენდაციები თავების მიხედვით
     1. რატომ ქარტია?
     2. რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?
     3. რას წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობა?
     4. რას წარმოადგენს განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება?
     5. რა არის ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის პრინციპები?
     6. ვინ მონაწილეობს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში?
     7. იცავენ თუ არა სკოლები და ორგანიზაციები ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიის პრინციპებს?
     8. რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას?

   - ვასრულებთ მუშაობას ქარტიაზე

3. დანართები
   - ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ
   - სამუშაო ფურცელი: დემოკრატია და ადამიანის უფლებები იწყება ჩვენით: სად ვდგავართ?
   - ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების რუკა

წინასიტყვაობა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ძალადობის, რასიზმის, ექსტრემიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის აღზევებამ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ჩვენი საზოგადოება. განათლება დღითი დღე უფრო და უფრო მეტად მიიჩნევა ამგვარი მოვლენებისა და მათ შედეგად მიღებული ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევათა აღკვეთისა და თავიდან აცილების საშუალებად და, ასევე, სოციალური კავშირების, სოციალური სამართლისა და მშვიდობის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გზად.

განათლების მნიშვნელობისა და როლის აღიარების დასტურია 2010 წელს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული **ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ** (შემდგომში „ქარტია“). ქარტია წარმოადგენს სახელმძღვანელო ინსტრუმენტს და მასში შესულია სათანადო დონის განათლების ხელშეწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენს ქარტიის მასშტაბური გავრცელება, რაც გულისხმობს რაც შეიძლება მეტი ადამიანის ინფორმირებას მასში მოცემული მიზნებისა და იმ შესაძლო გზების შესახებ, რომლებიც მის პრაქტიკულ განხორციელებას ემსახურება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მასალა, რომელსაც თქვენ წინამდებარე ნაშრომში გაეცნობით.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ქარტიასთან დაკავშირებული სასწავლო და საგანმანათლებლო მასალები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მასალათა სრული პაკეტის ნაწილს, რომლითაც თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ბავშვებთან და ახალგაზრდებთან ქარტიაზე მუშაობის პროცესში.

დემოკრატია და ადამიანის უფლებები იწყება ჩვენით!

ამ სათაურით შეგიძლიათ მოიძიოთ ორი მასალა, რომელიც ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ სასწავლო რესურსს წარმოადგენს:

ქარტია ყველასათვის

ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ (ქარტია) ადაპტირებულ იქნა იმისათვის, რომ იგი მარტივი წასაკითხი ყოფილიყო 12-დან 15 წლამდე ახალგაზრდებისათვის. თუმცა ეს არ გამორიცხავს ქარტიის მოცემულ ვერსიაზე სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან მუშაობის შესაძლებლობას. „ქარტია ყველასათვის“, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ახალგაზრდებისათვის, რათა მას ისინი დამოუკიდებლად გაეცნონ, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია ახალგაზრდების ჯგუფებთან მუშაობის პირობებშიც.

პოსტერი

პოსტერის დანიშნულებას წარმოადგენს ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის ამაღლება ისეთ ადგილებში, სადაც ისინი ეუფლებიან ცოდნას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებში. პოსტერი შექმნილია საკლასო ოთახში, ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ ცენტრებში, კლუბებში, საზაფხულო ბანაკებში და ა.შ. გამოფენის მიზნით. ძალიან ხშირად დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება თვალსაჩინოებების გარეშე მიმდინარეობს, მოცემული პოსტერი აძლიერებს აღქმას იმ წვლილისა, რომელიც მოსწავლეთა ჯგუფს შეუძლია შეიტანოს დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებასა და ადამიანის უფლებათა დაცვაში და, აგრეთვე, ერთგვარად ახსენებს ამ ჯგუფის წევრებს, რომ საჭიროა კეთილი საქმის გამუდმებით კეთება. აგრეთვე, პოსტერი წარმოადგენს საგანმანათლებლო ინსტრუმენტს, რომელიც ადამიანის აზროვნების პროვოცირებას უწყობს ხელს, ვინაიდან იგი წარმოაჩენს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ქარტიაში მოცემული მასალის არსს 12 წინადადებით.

გზამკვლევი განათლების სპეციალისტებისთვის

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია ქარტიის შესახებ, მაგრამ მის უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს მასში შესული რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა ახალგაზრდებთან ქარტიასა და პოსტერზე, მოსწავლე-ახალგაზრდების განათლების კუთხით. აღნიშნული მუშაობა ახალგაზრდებთან შესაძლებელია ჩატარდეს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შესავალი კურსის ან ინსტრუმენტის სახით, რომელიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს, შეაჯამონ ის ცოდნა და უნარები, რომლებსაც ისინი დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში იძენენ.

ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ = EDC/HRE

1 შესავალი

▶ ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო, ევროპაში უძველესი მთავრობათშორისი ორგანიზაცია, 1949 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებული მოვლენების ფონზე ჩამოყალიბდა. ამჟამად ევროპის საბჭო აერთიანებს 47 წევრ სახელმწიფოს. მის უმთავრეს მიზანს ევროპაში საერთო დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება წარმოადგენს, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სხვა მსგავს დოკუმენტებს, რომლებიც ადამიანის დაცვას ემსახურება.

ამ ფუნდამენტური ღირებულებების საფუძველზე, ევროპის საბჭო ცდილობს, გამოძებნოს უმწვავესი პრობლემების გადაჭრის გზები, პრობლემებისა, როგორებიცაა: ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია, კიბერდანაშაული, ბიოეთიკა და კლონირება, ძალადობა ბავშვებსა და ქალებზე და ადამიანებით ვაჭრობა და ტრეფიკინგი. წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა მიჩნეულია იმ უმწვავესი პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზად, რომლებიც დღევანდელი ევროპის წინაშე დგას.

ევროპის საბჭო, აგრეთვე, აქტიურად არის ჩაბმული კულტურისა და განათლების სფეროებში. მას შემდეგ, რაც 1955 წელს ძალაში შევიდა ევროპის კონვენცია კულტურის შესახებ, ფართომასშტაბიანი ერთობლივი სამუშაოები იქნა განხორციელებული ამ სფეროში, ევროპის მასშტაბით.

დამატებითი ინფორმაცია ევროპის საბჭოს შესახებ

- ევროპის საბჭო: *www.coe.int*

ინფორმაცია ევროპის საბჭოს ორგანოების შესახებ

- მინისტრთა კომიტეტი: *www.coe.int/cm/*
- საპარლამენტო ასამბლეა: *www.assembly.coe.int*
- ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კომიტეტი: *www.coe.int/Congress/*
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: *www.echr.coe.int/ECHR*
- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა კონფერენცია: *www.coe.int/ngo*
- ადამიანის უფლებათა კომისარი: *www.coe.int/commissioner*

▶ ქარტია

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციის CM/Rec (2010)7 ფარგლებში დამტკიცებული, **ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ**

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება (EDC/HRE) წარმოადგენს პროექტს, რომელსაც საფუძვლად უდევს თავად ევროპის საბჭოს ძირითადი მისია, რომელიც ადამიანის უფლებათა, დემოკრატიის პრინციპებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობაში მდგომარეობს, და აგრეთვე რწმენა იმისა, რომ განათლებას შეუძლია, გადამწყვეტი როლი ითამაშოს ამ მიზნის გაფართოებაში. 1997 წელს, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა მეორე სამიტზე, საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას და ადამიანის უფლებათა

სწავლებას, ვინაიდან გადაწყდა, „გზა გაეხსნათ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისათვის, დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეების უფლებათა და პასუხისმგებლობათა შესახებ საზოგადოების ინფორმირების საშუალებით“[1].

ევროპის საბჭოს წინამდებარე ქარტია წარმოადგენს ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მონდომებისა და მზადყოფნის გამოხატულებას იმისათვის, რომ დაინერგოს განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება და, აგრეთვე, ქარტია მოიცავს იმ სტანდარტებს, რომელთა მიღწევაც წევრი სახელმწიფოების მიზანს წარმოადგენს.

ტერმინი „ქარტია“ საერთაშორისო პრაქტიკაში აღნიშნავს როგორც სავალდებულო, აგრეთვე, არასავალდებულო ინსტრუმენტს. სავალდებულო ინსტრუმენტები, ჩვეულებრივ, მოიცავს მონიტორინგის მექანიზმს. ამგვარი მექანიზმები გვევლინება ან სასამართლოს სახით (მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წარმოდგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონიტორინგის მექანიზმს), ან კომიტეტის სახით (მაგალითად, ევროპის სოციალური კომიტეტი წარმოადგენს ევროპის სოციალური ქარტიის მონიტორინგის მექანიზმს). ამგვარი მექანიზმების მიზანია სამართლებრივ ინსტრუმენტთა ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ქარტიის სახელწოდებისა და მისი ფორმის შერჩევა განაპირობა სურვილმა და მონდომებამ, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ შექმნილიყო, ამ სფეროში ადრე მიღებულ დოკუმენტებთან შედარებით, უფრო არსებითი და საფუძვლიანი დოკუმენტი, რომელიც უფრო ძლიერი ვალდებულებების შემცველი იქნებოდა. თუმცა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წინადადებას, ქარტია დამტკიცებულიყო როგორც არასავალდებულო დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისო საჯარო სამართალს დაექვემდებარებოდა. ამრიგად, ქარტიის დამტკიცება განხორციელდა რეკომენდაციის ფარგლებში; ქარტიაში შესული რეკომენდაციები და მათზე დართული ნებისმიერი დებულებები, განმარტების თანახმად, სარეკომენდაციოდ არის მიჩნეული. ამრიგად, ის რასაც ჩვენ ქარტიას ვუწოდებთ, თავისთავად წარმოადგენს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2010)7 დანართს. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა – ან მათმა წარმომადგენლებმა – აღნიშნული დოკუმენტი მიიღეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 120-ე სხდომაზე, სტრასბურგში, 2010 წლის მაისში.

ძალიან ხშირად, ქარტია ქვეყნდება რეკომენდაციის ტექსტის გარეშე, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მისი მიღება (ქარტიის ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ **დანართებში**). ქარტიის სრული სახელწოდება შეიცავს შემდეგი შინაარსის ფრაზას: „დამტკიცებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციის CM/Rec (2010)7 ფარგლებში“, რაც ადასტურებს აღნიშნული დოკუმენტის სარეკომენდაციო ხასიათს. ქარტიის სრულ ტექსტს აგრეთვე ერთვის განმარტებითი მემორანდუმი – დოკუმენტი, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ქარტიის მიღების ფონზე, მის საფუძვლებსა და მისი მიღების მიზნით გამართული მოლაპარაკებების ისტორიის შესახებ და, გარდა ამისა, მოიცავს კომენტარებსა და განმარტებებს ქარტიაში შესულ დებულებებსა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

1. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა მეორე სამიტის დასკვნითი დეკლარაცია.

2 როგორ ვიმუშაოთ ქარტიაზე ახალგაზრდების ჯგუფთან

▶ ქარტია განათლების კონტექსტში

ქარტიის ტექსტი შედგენილია იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით და, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს მიმართვას მთავრობებისადმი. ამავე დროს, ქარტიაში იკვეთება ბევრი სხვადასხვა მხარე – განათლების სფეროს სპეციალისტები, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები, მშობლები, მეურვეები და ბავშვები – რომელთა ხელშეწყობაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში; ქარტიაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მხარე სრულყოფილად უნდა იყოს ინფორმირებული მოცემული სწავლების შესახებ. ვინაიდან დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობების უმეტესობაში ბავშვები და ახალგაზრდები მონაწილეობენ და, შედეგად, მათ საზოგადოების სხვა ნაწილზე უფრო მეტად ეხებათ აღნიშნული თემა, შედგა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ სწორედ ისინი უნდა წარმოადგენდნენ მოცემული პუბლიკაციის ძირითად აუდიტორიას. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ქარტიის ამ აუდიტორიისათვის გასაგებ ფორმატში ახსნის საკითხიც.

ქარტიასთან დაკავშირებული მასალა, თავდაპირველად, **12-დან 15 წლამდე** ახალგაზრდებისათვის გასაცნობად იყო განკუთვნილი. მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის შედგენისას სწორედ ეს ასაკობრივი ჯგუფი იყო გათვალისწინებული, სხვა ასაკის ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია, დამოუკიდებლად გაეცნოს მას. ასევე, მასწავლებელს შეუძლია მისი გამოყენება ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობისას. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ კონტექსტს სიტყვები: „ბავშვები“ და „მოზარდები“ უფრო ესადაგება, წინამდებარე დოკუმენტში ვარჩიეთ, გამოგვეყენებინა სიტყვა **„ახალგაზრდები“**. ამავე დროს, ეს სიტყვა უფრო ამართლებს სახელწოდებას „ქარტია ყველასათვის“, სადაც სიტყვები: „ბავშვები“ და „მოზარდები“ შეგნებულად არ არის გამოყენებული, რათა მკითხველმა შეძლოს საკუთარი თავის გაიგივება მასალაში მოცემულ ტექსტთან. ასევე, ჩვენ ვიყენებთ ფრაზას **„ახალგაზრდების ჯგუფი“**, როგორც **ფორმალური**, ასევე, **არაფორმალური** განათლების კონტექსტში – სადაც აღარ არის საჭირო, დავაზუსტოთ, მოსწავლეებზეა საუბარი, სტუდენტებზე, მონაწილეებსა თუ წევრებზე – ასევეა, **თანასწორთა** განათლების შემთხვევებშიც.

იმ მიზნით, რათა ქარტიის შინაარსი უფრო გასაგებად ყოფილიყო გადმოცემული, შეიქმნა „ქარტია ყველასათვის“, რომლის ტექსტიც ორიგინალის ტექსტისაგან განსხვავდება არა მარტო ენობრივი თვალსაზრისით, არამედ სტრუქტურითაც. უპირველეს ყოვლისა, დოკუმენტი „ქარტია ყველასათვის“ მოიცავს მოკლე შესავალს, რომელშიც ახსნილია, თუ რას წარმოადგენს ევროპის საბჭო, რაც ქარტიის ძირითად ვერსიაში არ არის წარმოდგენილი და, აგრეთვე, მოიცავს იმ მიზეზთა აღწერას, რომელთაც განაპირობეს ქარტიის შექმნა. დოკუმენტის – „ქარტია ყველასათვის“ – მეორე და ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში გადმოცემულია ქარტიის ძირითადი შინაარსი, რომელიც რვა თავად არის დაყოფილი და რომელიც კითხვა-პასუხის ფორმატით არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა, პასუხები, რომლებიც ქარტიის შინაარსს გადმოგვცემს, მშრალად არ არის მოცემული, არამედ მათ თან ერთვის სხვადასხვა გრაფიკული ელემენტი, რაც ქარტიის ტექსტს უფრო გასაგებს ხდის მკითხველისათვის. ეს ელემენტები, ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მასწავლებლის მიერ, ჯგუფთან მუშაობის პროცესში.

სააზროვნო კითხვები განკუთვნილია იმისათვის, რომ ინდივიდუალური პირი დაფიქრდეს მოცემულ საკითხზე, ან ჯგუფმა დაიწყოს მოცემულ საკითხზე **მსჯელობა** და მოსაზრებების ერთმანეთისათვის გაზიარება. ისინი, ასევე, შესაძლებელია განკუთვნილი იყოს სხვა ამოცანაზე ან დავალებაზე გადასვლისათვის მოსამზადებლად, რაც საკითხის უფრო ღრმად გაცნობას ემსახურება.

იდეები მოქმედებისათვის წარმოადგენს მცირე მოცულობის დავალებებს, რომლებიც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად. იმ შემთხვევაში, თუ იდეები ჯგუფურ მუშაობას გულისხმობს, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც თანამშრომლობის საფუძველზე შესასრულებელი ამოცანის საწყისი ეტაპი, ან როგორც შემდგომი მოქმედება, რომელიც **ჯგუფმა უნდა შეასრულოს**.

მაგალითები მოჰყავთ მოქმედ პირებს, რომლებიც ხშირად გვხვდებიან დოკუმენტის ტექსტში; ზოგიერთი მაგალითი კონკრეტული ხასიათისაა, ხოლო ზოგიერთი მათგანი უფრო ზოგად ხასიათს ატარებს. მაგალითები ემსახურება მკითხველისათვის არა მარტო **უკეთ ახსნას**, თუ რა იგულისხმება ამა თუ იმ რეკომენდაციაში, არამედ **აწვდის** მათ იდეებს იმის შესახებ, თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი მათ საზოგადოებაში. ისინი ახალგაზრდებისათვის ერთგვარი სტიმულის ფუნქციასაც ასრულებს, რათა შეძლონ თავიანთი გამოცდილებიდან იმ მაგალითების მოყვანა, რომლებიც მათთვის ნაცნობ სიტუაციას ესადაგება.

მნიშვნელოვანი მოსაზრებები გვეხმარება, მარტივად გავაანალიზოთ ტექსტში მოცემული ძირითადი იდეები. ამ სიმბოლოს გასწვრივ მოცემული წინადადებები, პოსტერზე მოცემულ წინადადებებთან ერთად, წარმოადგენს ქარტიის მოკლე შინაარსსა და მის შეჯამებას.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქარტია დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით განიხილება, ჯგუფში მუშაობისას მისი შინაარსისა და დანიშნულების აღქმა მარტივდება და ახალგაზრდებში მატულობს მოტივაცია და მოქმედებისათვის მზადყოფნა. გარდა ამისა, ჯგუფში მუშაობისას უფრო გასაგები ხდება დემოკრატიასთან დაკავშირებული ყველა პრინციპი და ჩნდება მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა.

დემოკრატიის მამოძრავებელ ძალას კონსტრუქციული და ღია დისკუსია წარმოადგენს, ვინაიდან იგი აზრის გამოხატვის თავისუფლებას უკავშირდება. სწავლის პერსპექტივიდან, იგი ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას და ქმნის დემოკრატიის აუცილებელი პირობის – განსხვავებული აზრისა და შეხედულებების მიღების – პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. ამგვარად, სავარჯიშოთა უმეტესობა, რომელსაც წინამდებარე სახელმძღვანელოში გთავაზობთ, ეხება ფრაგმენტებს დოკუმენტიდან „ქარტია ყველასათვის“ და მოცემულია კითხვების სახით, რომელზე პასუხადაც საჭიროა ჯგუფში ღია დისკუსიის წარმოება. თუმცა, ამასთან, საჭიროა გაითვალისწინოთ, რომ თქვენ, როგორც მასწავლებელს, შეიძლება მოგიწიოთ, უხელმძღვანელოთ დისკუსიას, რომლის ფარგლებშიც გამოთქმული იქნება ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები და წამოჭრილი იქნება სადავო და საკამათო საკითხები. ამისათვის საჭიროა, მოიპოვოთ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია და წინასწარ მოემზადოთ (წყაროები, რომლებიც ქარტიის გარშემო წამოჭრილი თემებისათვის მზადებაში დაგეხმარებათ, მოცემულია ქვევით). დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა კულტურის შემოტანა ეტაპობრივი პროცესია და ხანგრძლივ მუშაობას გულისხმობს.

▶ წყაროები - ევროპის საბჭოს პუბლიკაციები

მომდევნო გვერდებზე თქვენ იხილავთ რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იმუშაოთ ქარტიაზე ჯგუფთან, დოკუმენტში „ქარტია ყველასათვის“ მოცემული თავების მიხედვით. **სავარჯიშოთა უმეტესობის პარალელურად, რომლებიც ჯგუფში ღია დისკუსიის წამოწყებას ემსახურება** (წინამდებარე სახელმძღვანელოში ***დახრილი შრიფტით*** არის მოცემული), გამოიყენება **ჯგუფური სავარჯიშოები და ამოცანები** (რომლებიც **ღია შეფერილობის გრაფებშია** მოცემული) და რომლებიც დეტალურად არის აღწერილი ევროპის საბჭოს პუბლიკაციებში, რომელთა ჩამონათვალსაც გაწვდით ქვევით.

Compasito

ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სახელმძღვანელო ბავშვებისათვის
www.coe.int/compasito/

მოცემული სახელმძღვანელო 15 ენაზეა გამოცემული, იგი წარმოადგენს პირველ ინსტრუმენტს მასწავლებლებისათვის, რომელთაც სურვილი აქვთ, 7-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვებთან დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში მიიღონ მონაწილეობა; თუმცა სახელმძღვანელოში შესული აქტივობების უმეტესობის ადაპტირება და მათი გამოყენება შესაძლებელია უფროს ბავშვებთანაც. სახელმძღვანელო გვაცნობს ადამიანის უფლებათა და ბავშვთა უფლებების ძირითად ცნებებს და გვაწვდის ამ უფლებებთან დაკავშირებულ, მნიშვნელოვან თეორიულ მასალას. ასევე, მასში მოცემულია 42 პრაქტიკული სავარჯიშო, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლებას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა თავიანთ გარემოში შეძლონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების ამოცნობა. სახელმძღვანელოს ცნობარში მარტივად არის შესაძლებელი იმ აქტივობების სათაურების მოძიება, რომლებიც წინამდებარე სახელმძღვანელოშია მითითებული.

Compass

ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სახელმძღვანელო ახალგაზრდებისათვის
www.coe.int/compass/

მოცემული სახელმძღვანელო ეძღვნება ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებას და იგი ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, მასწავლებლებსა და განათლების სფეროში მოღვაწე სხვა პირებს, როგორც პროფესიონალებს, ასევე მოხალისეებს, სთავაზობს იდეებსა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ახალგაზრდების მოტივირება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა, რათა გამოიმუშაონ პოზიტიური მიდგომა ადამიანის უფლებების მიმართ თავიანთ გარემოსა და საზოგადოებაში, რომელსაც ეკუთვნიან. სახელმძღვანელო ახალგაზრდებს ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფართო პერსპექტივას სთავაზობს და ახალგაზრდები მასში განიხილებიან რესურსის რანგში. სახელმძღვანელო ემყარება ემპირიული, არაფორმალური განათლების ფორმას, რომელიც ორიენტირებულია შემსწავლელებზე, მათ გარემოსა და პირად პრობლემებზე. Compass-ი 30-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი.

„სხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“ - სახელმძღვანელოები

www.coe.int/edc

მოცემული სერია მოიცავს ექვს სახელმძღვანელოს, რომელიც მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორებს ეხმარება, სკოლის ფარგლებში, ხალისიან გარემოში და ინტერაქტიული მეთოდებით შეასწავლონ ბავშვებს დემოკრატიული მოქალაქეობა და ადამიანის უფლებები.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი I

განათლება დემოკრატიისათვის – განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

სახელმძღვანელოში მოცემულია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, მისი მიზნები, ძირითადი პრინციპები და ემსახურება სკოლაში ერთიანი მიდგომის დამკვიდრებას, რომელიც ორიენტირებულია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლებაზე.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი II

ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში – განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

სახელმძღვანელო შედგება ცხრა სასწავლო თავისაგან, რომელთაგანაც თითოეული მოიცავს, დაახლოებით, ოთხ-ოთხ გაკვეთილს, სადაც თანამიმდევრულად არის მოცემული სასწავლო მასალასთან და სწავლებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები. სახელმძღვანელო აერთიანებს მოსწავლეებისათვის დასარიგებლად განკუთვნილ სამუშაო ფურცლებსა და ინფორმაციას მასწავლებლებისათვის. სახელმძღვანელო გათვლილია ერთ სრულ სასწავლო წელზე და განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის (6-დან 9 წლამდე ასაკის, მე-4, მე-5, ან მე-6 კლასის მოსწავლეებისათვის).

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი III

ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის

სახელმძღვანელოს სტრუქტურა წიგნი II-ის იდენტურია, გათვლილია ერთ სრულ სასწავლო წელზე და განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის (10-დან 15 წლამდე ასაკის, მე-7, მე-8 ან მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის).

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი IV

მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში – განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

სახელმძღვანელოს სტრუქტურა II და III წიგნების იდენტურია, გათვლილია ერთ სრულ სასწავლო წელზე და განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურის მოსწავლეებისათვის (16-დან 17 წლამდე ასაკის, მე-10, მე-11 ან მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის).

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი V

ბავშვთა უფლებების კვლევა – ცხრა მცირე პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

სახელმძღვანელოში მოცემულია ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ბავშვთა უფლებების სწავლებისას; თუმცა სახელმძღვანელოში შესული აქტივობების ადაპტირება და მათი გამოყენება შესაძლებელია შედარებით უფროს ბავშვებთანაც. სახელმძღვანელო მოიცავს როგორც საგაკვეთილო გეგმებს, ასევე, მასალას, რომელზეც აგებული უნდა იყოს თითოეული გაკვეთილი.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI

დემოკრატიის სწავლება – სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის

სახელმძღვანელო წარმოადგენს სავარჯიშოებისა და სასწავლო მოდელების კრებულს, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ასევე, არაფორმალური განათლების ფარგლებში. სახელმძღვანელოში შესული მოდელები, მათში მოცემული მაგალითებისა და მითითებების საშუალებით, ქმნის გარემოს, რომელშიც მოსწავლეებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ზოგადი პრინციპების უკეთ აღქმისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა ეძლევათ. სახელმძღვანელოში შესული აქტივობების ადაპტირება და მათი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობისას.

ზოგადად, წინამდებარე სახელმძღვანელოში შემოთავაზებული აქტივობები აღებულია **„Compass“-ის, „Compasito“-სა და „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI“ პრაქტიკული ნაწილებიდან** (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული).

ევროპის საბჭოს წიგნის ონლაინმაღაზია

ზემოთ მოცემული მასალის **ელექტრონული ვერსიები** შეგიძლიათ იხილოთ მასალასთან მითითებულ ბმულებზე. წიგნის ბეჭდური ვერსიის შეძენა შესაძლებელია წიგნის ონლაინმაღაზიის საშუალებით, მისამართზე: *www.book.coe.int/*

დამატებითი თეორიული მასალა

Compasito, თავები I, II და V

Compass

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი I
განათლება დემოკრატიისათვის – განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

პროფესიული მომზადების პროგრამები

განათლების სფეროში პროფესიული მომზადების პროგრამა: „Pestalozzi Programme“: *www.coe.int/pestalozzi/*

ახალგაზრდა პროფესიონალთა მომზადების პროგრამები: *www.coe.int/youth*

▶ ადაპტირება

როგორც ქარტიაშია აღნიშნული, ფორმალური, ფორმალურისაგან განსხვავებული და არაფორმალური განათლება ერთმანეთს ავსებს და წარმოადგენს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პროცესის ურთიერთგამაძლიერებელ ელემენტებს, სწორედ ამიტომ, სახელმძღვანელოების ფორმატი მათი განსხვავებულ კონტექსტებში გამოყენების საშუალებას იძლევა, როგორც ფორმალურ, ასევე, ნაკლებად ფორმალურ გარემოში, როგორც რეგულარული, ასევე, არასისტემატური ფორმით.

"Compositо"-სა და „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში" შესულ ზოგიერთ სახელმძღვანელოში შეგიძლიათ იხილოთ აქტივობები, რომლებიც კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის არის განკუთვნილი, თუმცა ასაკობრივი ჯგუფის მითითება მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის მატარებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ, როგორც ჯგუფის მასწავლებელს, ჯგუფის შეფასების საფუძველზე, შეგიძლიათ სავარჯიშოებისა თუ აქტივობების ადაპტირება საჭიროების შემთხვევაში. უნდა გაითვალისწინოთ არა მარტო მოსწავლეთა ასაკი, არამედ სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, როგორიცაა: ჯგუფის განვითარების დონე, როგორც, ზოგადად, სწავლის პროცესთან დამოკიდებულებაში, აგრეთვე, განსახილველ თუ შესასწავლ თემასთან დაკავშირებით. ასევე, ადაპტირება გულისხმობს, ერთი ჯგუფის ფარგლებში, სწავლის სხვადასხვა სტილის, უნარებისა და ათვისების სხვადასხვა დონის გათვალისწინებას. განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენაა საჭირო ისეთ ჯგუფში მუშაობისას, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობების წევრია ჩართული; საჭიროა აქტივობების ადაპტირება მათი უნარების გათვალისწინებით, და არ უნდა გვქონდეს მოლოდინი იმისა, რომ ისინი თავად უნდა შეეცადონ, თავიანთი უნარები მოარგონ ჩვენ მიერ შეთავაზებულ აქტივობას.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინების შემდეგ, სახელმძღვანელოში რეკომენდებული და თქვენ მიერ ადაპტირებული აქტივობები შეგიძლიათ გამოიყენოთ ჯგუფთან მუშაობისას. ყველა რეკომენდებული სახელმძღვანელო, ასევე, შეიცავს მითითებებს იმის თაობაზე, თუ როგორ და რა საშუალებებით არის შესაძლებელი მათში მოცემული აქტივობების ადაპტირება.

▶ პოსტერის გამოყენება

პოსტერი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის გამოყენებაც ეფექტურია ახალგაზრდების ჯგუფთან მუშაობისას. ის ფაქტი, რომ პოსტერი 12 წინადადებისგან შედგება, მეტყველებს იმაზე, რომ იგი დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მახასიათებელთა და ქარტიის შინაარსის აღქმის მარტივ და ვიზუალურ საშუალებას წარმოადგენს. მისი გამოყენება, ასევე, შესაძლებელია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში, ჯგუფის მიერ შეტანილი წვლილის კონტროლის საშუალების სახით. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, პოსტერი განთავსდეს თვალსაჩინო ადგილზე, ოთახში, სადაც მიმდინარეობს ახალგაზრდების ჯგუფთან მუშაობა, რათა შესაძლებელი იყოს მასზე მოსწავლეთა ყურადღების მიპყრობა „ქარტია ყველასათვის" სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში.

ვინაიდან პოსტერი წარმოადგენს თვალსაჩინოებას, რომელიც მთელი ჯგუფისთვის არის განკუთვნილი, მასზე ინდივიდუალურად მუშაობისათვის, ჯგუფის თითოეულ წევრს შესაძლებელია დაურიგდეს პოსტერის ცალკე ასლი. შესაძლებელია სამუშაო ფურცლის (რომელიც მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოს **დანართებში**) ასლების გაკეთება და მათი დარიგება ჯგუფში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დანართში მოცემულ სამუშაო ფურცელზე პოსტერის ზუსტი ასლი არ არის დატანილი: ვინაიდან შესაძლებელია, ახალგაზრდებისათვის რთული აღმოჩნდეს პოსტერზე მოცემულ წინადადებებზე ზუსტი პასუხის გაცემა (კი ან არა), პოსტერზე თითოეულ წინადადებას დართული აქვს ბარომეტრი, რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შეაფასონ, თუ რამდენად ასრულებენ ისინი წინადადებაში ჩამოყალიბებული დებულების სახით მოცემულ პრინციპს.

მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცელი, პოსტერთან ერთად, სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს გამოყენებული:

>> *ვიდრე „ქარტია ყველასათვის" დოკუმენტზე მუშაობას შეუდგებოდეთ, შეგიძლიათ შეამოწმოთ, რა შეხედულება აქვს ჯგუფს, სკოლის ან ახალგაზრდული ორგანიზაციის მხრიდან დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართ დამოკიდებულების შესახებ. ამისათვის ჯგუფის წევრებს შეგიძლიათ დაურიგოთ სამუშაო ფურცლები, რომლებზეც ისინი თავიანთ შეხედულებებს დააფიქსირებენ.*

მას შემდეგ, რაც ჯგუფი დაასრულებს დოკუმენტზე მუშაობას და დეტალურად შეისწავლის და გააანალიზებს დოკუმენტში შესულ საკითხებს, პოსტერის ასლები კვლავ შეგიძლიათ დაურიგოთ ჯგუფის წევრებს, რათა მათ კიდევ ერთხელ შეავსონ იგი, რის შემდეგაც შეგიძლიათ გადაამოწმოთ, არის თუ არა ცვლილება ჯგუფის წევრების მიერ ბარომეტრებზე დაფიქსირებულ პასუხებში.

>> *პოსტერის გამოყენება შესაძლებელია „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტზე მუშაობის პარალელურად, ვინაიდან პოსტერზე მოცემული წინადადებების უმრავლესობის დაკავშირება შესაძლებელია დოკუმენტის შემადგენელ თავებთან. პოსტერის გამოყენება შესაძლებელია ჯგუფის წევრებთან ერთად, დოკუმენტის ყოველი თავის დამუშავების შემდეგ, რა დროსაც ჯგუფი ერთად მუშაობს პოსტერზე და ერთად იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ბარომეტრზე სად უნდა იქნეს დატანილი აღნიშვნა, რომელიც ასახავს, თუ რამდენად ასრულებს ჯგუფი წინადადებაში ჩამოყალიბებული დებულების სახით მოცემულ პრინციპს.*

ქვევით მოცემულ ცხრილში გაწვდით რეკომენდაციებს პოსტერზე მოცემული წინადადებებისა და „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტის თავების ერთმანეთთან დაკავშირების შესახებ.

პოსტერი ჩვენი ქმედებებით...	**ქარტია ყველასათვის** თავი
ჩვენი უფლებები დაცულია და ჩვენ ვიცავთ სხვების უფლებებს.	თავი 1. რატომ ქარტია? თავი 2. რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?
ვთანხმდებით იმ წესების შესახებ, რომლებიც ჩვენ ერთად მუშაობისას უნდა დავიცვათ. ჩვენ ვმონაწილეობთ საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობაში.	თავი 3. რას წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობა?
ჩვენ ვსწავლობთ იმას, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ვსწავლობთ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის შესახებ. ჩვენ ვსწავლობთ, როგორ უნდა ვიმოქმედოთ, როდესაც ირღვევა ადამიანის უფლებები.	თავი 4. რას წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება?
ჩვენ ყველასთვის ვქმნით შესაძლებლობებს, მიიღონ მონაწილეობა. ჩვენ კონფლიქტებს ძალადობის გარეშე ვაგვარებთ და თავს ყველა უსაფრთხოდ გრძნობს.	თავი 5. რა არის ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის პრინციპები?
ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, თუ რა უნდა ვაკეთოთ და როგორ. ჩვენ გვაქვს უფლებებიც და პასუხისმგებლობებიც.	თავი 7. იცავენ თუ არა სკოლები და ორგანიზაციები ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიის პრინციპებს?
ჩვენ ვთანამშრომლობთ ოჯახებთან, სკოლებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და მედიასთან. ჩვენ სიამოვნებით ვუზიარებთ სხვებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მიღებულ გამოცდილებას.	თავი 6. ვინ მონაწილეობს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში? თავი 8. რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას?

„ქარტია ყველასათვის“: რეკომენდაციები თავების მიხედვით

სახელმძღვანელოს წინამდებარე ნაწილში ჩვენ გაწვდით „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტში შესულ თავებში მოცემულ ყველაზე მნიშვნელოვან იდეებსა და, აგრეთვე, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იმუშაოთ ჯგუფთან ამ იდეებზე. წინამდებარე სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ელემენტების უმეტესობის ამოსავალს წარმოადგენს „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტში მოცემული დებულებები. ამგვარად, აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა უფრო მოსახერხებელია წინამდებარე გზამკვლევის პარალელურად.

1. რატომ ქარტია?

შინაარსი

დოკუმენტის პირველ თავში ორი მნიშვნელოვანი იდეაა გადმოცემული:

- მოცემული დოკუმენტის **მნიშვნელობა**
- ახალგაზრდებისა და მთავრობების **როლი**

» ვიდრე ჯგუფს პირველი თავის წაკითხვას დაავალებთ, სთხოვეთ მათ, გაგიზიარონ თავიანთი მოლოდინი დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებით:
  - o თქვენი აზრით, დოკუმენტი, რომელიც განათლებას ეძღვნება, როგორ შეიძლება ეხებოდეს ყველას?

» მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრები დოკუმენტის პირველ თავს გაეცნობიან, სთხოვეთ მათ, გაგიზიარონ თავიანთი მოლოდინი დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებით:
  - o თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი განათლება, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ღირებულებებს?
  - o თქვენი აზრით, რატომ არის თანახმა ევროპის საბჭოს წევრი 47-ვე ქვეყანა, შეასრულოს დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციები?
  - o რატომ ვიღებთ ვალდებულებას, უზრუნველვყოთ ამგვარი სწავლება?

ამ უკანასკნელი კითხვის საშუალებით, შესაძლებელია შემოტანილ იქნეს დემოკრატიის განმარტება, რომელიც უფრო დეტალურად იქნება განხილული „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტის **მესამე თავში**. მოცემული ბოლო კითხვის განხილვისას, გაითვალისწინეთ, რომ დოკუმენტი არის სარეკომენდაციო, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში შესული დებულებები რეკომენდაციების ფორმით არის მოცემული.

ევროპის საბჭო

მოცემული თავში, ასევე, შესულია მასალა, რომელიც ახალგაზრდებს აცნობს ევროპის საბჭოს. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მიღება ახალგაზრდებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ ქარტია ბევრ სხვადასხვა ქვეყანაზე ვრცელდება და, შესაბამისად, განსხვავებულ ადამიანებს აერთიანებს.

» ევროპის საბჭოს თემაზე მუშაობისას, გამოიყენეთ ევროპის საბჭოს რუკა (რომელიც შეგიძლიათ იხილოთ დანართებში), ჯგუფის წევრებისათვის ინდივიდუალური ასლების დარიგებით ან ჯგუფისათვის პროექტორის საშუალებით რუკის ჩვენებით.
ალტერნატივის სახით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფაზლის ტიპის ასაწყობი რუკა, რა შემთხვევაშიც, რუკა უნდა დავჭრათ ქვეყნების საზღვრების მიხედვით და ვთხოვოთ ახალგაზრდებს, ააწყონ ევროპის საბჭოს რუკა. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ჯგუფის თითოეული წევრისათვის თითო ასაწყობი რუკა, ან ერთი დიდი ზომის ასაწყობი რუკა, რომლის აწყობაზეც მთელი ჯგუფი ერთად იმუშავებს.

ინფორმაცია ევროპის საბჭოს შესახებ

ინტერაქტიული ონლაინრუკა: *www.coe.int/47countries1europe*

ბროშურა ევროპის საბჭოს შესახებ:

- ბავშვებისათვის: **„მოგზაურობა დიდ ევროპაში. თავგადასავალი“**: *book.coe.int/sysmodules/RBS_fchier/admin/download.php?fleid=3206*
- ახალგაზრდებისათვის: **„ევროპის საბჭო. უსაზღვრო კავშირები“**: *youth-partnership-eu.coe.int/youth-partnership/news/news_267.html*

ამ უკანასკნელ პუბლიკაციაში მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია ევროპის საბჭოსა და ევროკავშირს შორის არსებული განსხვავებებისა და მათ შორის არსებული ურთიერთობების შესახებ.

2. რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?

ადამიანის უფლებები

მოცემული თემა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელზეც ახალგაზრდების ჯგუფთან უნდა ვიმუშაოთ, ვინაიდან დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება, ძირითადად, სწორედ ადამიანის უფლებებზეა აგებული. ძალიან მარტივი სავარჯიშოებისა და დავალებების საშუალებით, შესაძლებელია ახალგაზრდების გამოწვევა, რათა მათ ზოგადად ისაუბრონ ადამიანის უფლებებზე.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება. თავი 3*

3.3 ადამიანის უფლებათა ხე

აქტივობა, რომელიც მოიცავს ხატვას და რომელიც ახალგაზრდებს ეხმარება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცნებებების ვიზუალიზაციაში.

Compass, *თავი 2*

2.5 წარმოდგენის გამართვა

წარმოდგენა, რომელიც მონაწილეებისგან მოითხოვს ადამიანის უფლებათა ცნებების გათამაშებას.

ვინ ვარ მე?

აქტივობები, როგორებიცაა: დისკუსიები გუნდებს შორის, გონებრივი იერიში, ხატვა და ჯგუფური განხილვა, რომლებიც ემსახურება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული იდენტურობის კვლევას.

ადამიანის უფლებათა მახასიათებლები

მოცემულ თავში ადამიანის უფლებათა დახასიათება მოცემულია სიტყვების: **„ხელშეუვალის“** და **„საყოველთაოს“** გარეშე.

ადამიანის უფლებები არის შენი საკუთრება, რომელსაც ვერავინ წაგართმევს.
მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებები თანაბარია ყველა ადამიანისათვის.

დოკუმენტში „ქარტია ყველასათვის“, ადამიანის უფლებათა დახასიათებისას, არ არის გამოყენებული ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: **განუყოფლობა** (ყველა უფლება თანაბრად მნიშვნელოვანი და არსებითია) და ურთიერთდამოკიდებულება (ამ უფლებათა შორის კავშირი), მაგრამ ახალგაზრდებისათვის საინტერესო იქნება ადამიანის უფლებათა ამ მახასიათებლების განხილვა.

Compasito, *თავი IV*
17. ყველაზე მნიშვნელოვანია ვისთვის?
აქტივობა, რომლის მიზანსაც თანხმობის მიღწევა წარმოადგენს და რომელიც ახალგაზრდებს აცნობს გაეროს კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ და, აგრეთვე, იმას, თუ რატომ არის ადამიანის უფლებები საყოველთაო, ხელშეუვალი და ურთიერთდამოკიდებული.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: დემოკრატიის სწავლება, თავი 3
3.4 გასეირნება საჰაერო ბუშტით
აქტივობა, რომელიც ახალგაზრდებს აცნობს ადამიანის უფლებათა ხელშეუვალობის ცნებას და, აგრეთვე, იმას, რომ ადამიანის უფლებათა თვითნებური დარღვევა დიქტატურის ტოლფასია.

ადამიანის საჭიროებები, უფლებები და სურვილები

ამ თავში მოცემული ამოცანები ყურადღებას ამახვილებს **ადამიანის საჭიროებებისა და ადამიანის უფლებების ურთიერთკავშირზე**.

რა გჭირდება იმისათვის, რომ იცხოვრო კარგად, თავი იგრძნო უსაფრთხოდ, იყო ჯანმრთელი და სრულფასოვანი გაიზარდო?



☐ გადახედეთ იმ საჭიროებათა ჩამონათვალს, რომლებიც თქვენ შეადგინეთ, და შეამოწმეთ, გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციაში შესულია თუ არა თქვენ მიერ ჩამოთვლილი საჭიროებები

ვინაიდან ახალგაზრდების მიერ ადამიანის საჭიროებებსა და ადამიანის უფლებებს შორის კავშირი, ჩვეულებრივ, მარტივად აღიქმება, ახალგაზრდების ჯგუფთან ამ თემაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, მათი ყურადღება გამახვილებულ იქნეს ადამიანის უფლებებს, **საჭიროებებსა და სურვილებს შორის არსებულ სხვაობაზე**.

» სთხოვეთ ახალგაზრდებს, გადაიკითხონ ის ჩამონათვალი, რომელიც მათ მიერ არის შედგენილი და რომელშიც მათ თავიანთი საჭიროებები აქვთ წარმოდგენილი.
» სთხოვეთ მათ, დაფიქრდნენ, არის თუ არა ამ ჩამონათვალში ისეთი რამ, რის გარეშეც ისინი შეძლებენ სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელებას: ეს ის ელემენტებია, რომლებიც ადამიანის უფლებებს კი არ წარმოადგენს, არამედ მათ სურვილებს. მათ შორის სხვაობის უკეთ დასადგენად, შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები:
  - *ყველას აქვს უფლება, იცხოვროს კარგ პირობებში, ამგვარად, ჩვენ ზამთარში გვჭირდება თბილი სამოსი. თუმცა ეს განსხვავდება სურვილისაგან, გქონდეს უკანასკნელი მოდის სამოსი.*
  - *ყველას აქვს უფლება, იყოს ჯანმრთელი, რაც ჯანსაღი კვებისა და კვების გონივრული რეჟიმის შედეგად მიიღწევა. თუმცა ეს განსხვავდება სურვილისაგან, მიირთვა ტკბილეული მთელი დღის მანძილზე.*

Compasito, *თავი IV*
27. მივცურავთ უკაცრიელი კუნძულისაკენ
აქტივობა, რომელიც ემსახურება იმის შეფასებას, თუ რა არის მნიშვნელოვანი გადარჩენისა და განვითარებისათვის, რა სხვაობაა ადამიანის სურვილებსა და საჭიროებებს შორის და როგორ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებები ადამიანის საჭიროებებთან.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 3*
3.5 სურვილები და საჭიროებები
თამაში, რომელიც გულისხმობს ბარათების გამოყენებას და ემსახურება სხვაობის დადგენას იმ ელემენტებს შორის, რაც ადამიანს სურს და რაც ადამიანს რეალურად სჭირდება.

გაეროს კონვენციაში ბავშვთა უფლებების შესახებ შესულია ორი კონცეფცია, რომელთა გაგებაც ახალგაზრდებისათვის, შესაძლებელია, არ იყოს მარტივი. საჭიროა მათი დეტალური განხილვა შემდგომ ეტაპზე, კონკრეტულად, **მე-5 თავში** მოცემული მასალის პარალელურად.

- დისკრიმინაცია > ყველას ჩართულობა
- ძალადობა და ექსპლუატაცია > ადამიანის ღირსების პატივისცემა

ბავშვთა უფლებები

ქარტიაში ბავშვთა უფლებები ცალკე არ არის განხილული, მაგრამ ახალგაზრდებისათვის საინტერესო იქნება მათი განხილვაც, ვინაიდან ამგვარად შეგიძლიათ ადამიანის უფლებების დაკავშირება ახალგაზრდებთან.

ჩამონათვალში არის ისეთი რამ, რაც შენ იმიტომ გჭირდება, რომ ჯერ არ ხარ ზრდასრული? რა არის ეს?

იმ ელემენტებზე მსჯელობისას, რომლებიც **კონკრეტულად ბავშვებს ეხება (და არა ზრდასრულ ადამიანებს)**, საჭიროა, გვახსოვდეს, რომ ბავშვთა უფლებები, რომლებიც ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციაშია (1989 წელი) შესული, შესაძლებელია, დავყოთ სამ ძირითად კატეგორიად, ეს კატეგორიებია:

- დაცვა
- უზრუნველყოფა
- მონაწილეობა

ამ კონკრეტული დებულებების უმეტესობა გულისხმობს არასრულწლოვანთა (18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდების) **დაცვას** ძალადობისაგან, უგულებელყოფისა და ექსპლუატაციისაგან, ვინაიდან ისინი ძალიან დაუცველნი არიან ამგვარი მოპყრობის საფრთხისაგან. სხვა დებულებები გულისხმობს იმ კონკრეტულ **საჭიროებებს**, რომლებიც განვითარების ეტაპს უკავშირდება, რომელშიც იმყოფებიან არასრულწლოვნები, და შესაბამისად, საჭიროა მათი უზრუნველყოფა, მაგალითად, განათლების შესაძლებლობებით, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით და ა.შ. საჭიროა, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ბავშვთა უფლებების განსაზღვრა სწორედ ამგვარი მზრუნველობის საჭიროების საფუძველზე იქნა გახორციელებული, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ზრდასრულ ადამიანებს (ზოგადად, ადამიანს) ეს უფლებები არ გააჩნიათ. გართობის უფლება წარმოადგენს ერთადერთ უფლებას, რომლითაც მხოლოდ ბავშვები სარგებლობენ და რომელიც არ არის შესული ადამიანის უფლებათა შესახებ საყოველთაო დეკლარაციაში. ბავშვთა **მონაწილეობის** უფლების შესახებ დეტალურად ვისაუბრებთ **მე-3 თავში**.

ბავშვთა უფლებები

- *www.coe.int/children*
- *www.unicef.org/magic*

- Compasito
  თავი I.2. „რას წარმოადგენს ბავშვთა უფლებები?“

- **განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი V**
  ვიკვლევთ ბავშვთა უფლებებს, ნაწილი II

ადამიანის უფლებათა დარღვევა

შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი, როდესაც დაირღვა ადამიანის უფლებები (მეგობრების მონათხრობიდან, წიგნებიდან, ტელეგადაცემებიდან, თქვენი პირადი გამოცდილებიდან და ა.შ.)? ოდესმე გიგრძვნიათ, რომ თქვენი უფლებები დაირღვა? რა მოიმოქმედეთ ამ სიტუაციაში?

» მიეცით ახალგაზრდებს საშუალება, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ; ამისათვის შეგიძლიათ დაუსვათ შემდეგი კითხვები:
- *თუ თქვენ ოდესმე შესწრებიხართ სიტუაციას, როდესაც ირღვეოდა რომელიმე ადამიანის უფლება, რა იყო თქვენი რეაქცია ამაზე? რა იგრძენით?*
- *როგორ ამოიცანით, რომ ეს იყო ადამიანის უფლების დარღვევა?*
- *შეგეძლოთ თუ არა ამ სიტუაციებში რაიმე მოგემოქმედათ?*

როგორ უნდა იმოქმედონ ადამიანებმა, როდესაც ირღვევა მათი ან სხვა ადამიანების უფლებები?

პირველ რიგში, საჭიროა, აღვკვეთოთ ადამიანის უფლებათა დარღვევის გამოვლინებები; სწორედ ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ რა უფლებებით ვსარგებლობთ. ჩვენი უფლებების დაცვა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამოვლინებათა დაგმობა ჩვენს ვალდებულებებში შედის; მაგრამ ახალგაზრდების ყურადღება აუცილებლად უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი ამგვარ სიტუაციებში დამოუკიდებლად მოქმედება; ჩვენ შეიძლება მოგვიწიოს სხვა ადამიანებისათვის დახმარების თხოვნით მიმართვა და ამისათვის საჭიროა, ვფლობდეთ ინფორმაციას იმ ადგილობრივ ინსტრუმენტთა შესახებ, რომლებიც ჩვენს უფლებებს იცავს. გარდა ამისა, ჩვენს პასუხისმგებლობებში შედის იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომელთა უფლებებიც იქნა დარღვეული, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა, ყოველთვის გავითვალისწინოთ ჩვენი შესაძლებლობები. პასუხისმგებლობის აღების საკითხი დეტალურად არის განხილული „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტის **მე-3** და **მე-7 თავებში**.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 5*
5.1 ეს უსამართლოა
ფოტოების ანალიზი, რაც ემსახურება სამართლიანობისა და უსამართლობის აღქმას.

5.3 ასაწყობი სურათი
სიმულაცია, რომელიც საშუალებას იძლევა, გავერკვეთ, თუ როგორ ვრეაგირებთ უსამართლო მოპყრობაზე.

Compasito, *თავი IV*
10. რეპორტიორი
აქტივობა, რომელიც გულისხმობს ფოტორეპორტაჟის მოწყობას და რომელიც ემსახურება ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და იმის გაგებას, თუ როგორ ხდება ადამიანის უფლებების დაცვა და როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები.

Compass, *თავი 2*
პირველი გვერდი
სიმულაცია, რომელიც მოიცავს ჟურნალისტების გუნდის ერთობლივ მუშაობას ჟურნალის პირველი გვერდის მოსამზადებლად, რომლის დროსაც მასალად გამოიყენება, ახალგაზრდებისათვის კარგად ნაცნობ კონტექსტში, სიტუაციები, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება.

ადამიანის უფლებების დაცვა

როდესაც ირღვევა ადამიანის უფლებები, საჭიროა მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმთა გასაძლიერებლად. ვინაიდან ამ თავში ნახსენებია რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტი, იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდები გამოიჩენენ ინტერესს, შესაძლებელია, მათთვის რამდენიმე ცნების განმარტების მიწოდება:

- სამართლებრივ დოკუმენტებს სხვადასხვა ფორმატი და მახასიათებელი აქვთ; როგორც წინამდებარე გზამკვლევის პირველი ნაწილიდან შევიტყვეთ, „ქარტია“ შესაძლებელია წარმოადგენდეს როგორც სავალდებულო, ასევე, სარეკომენდაციო დოკუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღება კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვან გარდატეხას აღნიშნავს და დროთა განმავლობაში მან საერთაშორისო კანონის სტატუსი შეიძინა, „დეკლარაცია“ მხოლოდ საჯარო განაცხადს გულისხმობს, რომელიც საჭიროა, „კონვენციის“ (რომელსაც ხშირად „შეთანხმების“ ან „ხელშეკრულების“ სახელწოდებით მოიხსენიებენ) ფორმით ჩამოყალიბდეს, რათა მან სრული იურიდიული ძალა შეიძინოს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს ყველაზე ძველ და ძლიერ რეგიონულ მექანიზმს, რომელიც ევროპაში ადამიანის უფლებათა სამართლებრივ და იურიდიულ დაცვას უზრუნველყოფს.
- მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა სამართლებრივი დაცვის სისტემა შეიძლება მეოცე საუკუნის უდიდეს მიღწევად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე საზოგადოებები ქმნიდნენ სამართლებრივ სისტემებს, რომლებიც მთლიანი საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურებოდა.

სამართლებრივი დოკუმენტების ძალაში შესვლა და მათი უზრუნველყოფა სხვა მექანიზმების საშუალებით არის შესაძლებელი, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სწორედ ამ ძალის მატარებელ მექანიზმს წარმოადგენს. ახალგაზრდებმა, შესაძლებელია, ინტერესი გამოიჩინონ მის მიმართ და გამოთქვან სურვილი, რომ მეტი ინფორმაცია მიიღონ მის შესახებ.

Compass
ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული რეალური საქმის სიმულაცია.

ადამიანის უფლებათა განვითარებისა და დაცვის სისტემები

- **Composito**
  თავი I.1. „ვეცნობით ადამიანის უფლებებს“

- **ვიკვლევთ ადამიანის უფლებებს და ვმოქმედებთ მათ დასაცავად:**
  explorehumanrights.coe.int
  პროექტის მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის პრინციპებისა და მისი მექანიზმის გაცნობა და უკეთ გაცნობიერება

- **ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო:** *www.echr.coe.int/ECHR/*
  დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ბროშურებისა და ვიდეომასალის საშუალებით და, აგრეთვე, იხილოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამარტივებული ვერსია.

3. რას წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობა?

დემოკრატიის მახასიათებლები

☐ შეამოწმეთ, რამდენად დემოკრატიულია გარემო, სადაც თქვენ ცხოვრობთ

» *ვინაიდან დემოკრატია ადამიანთა ჯგუფების ორგანიზების მხოლოდ ერთ-ერთ გზას წარმოადგენს, შესაძლებელია, ახალგაზრდებისათვის საინტერესო იყოს სახელმწიფოთა მმართველობის სხვა ფორმების შესახებ მათი ცოდნის შემოწმება, რაც ჯგუფური განხილვით შეიძლება განხორციელდეს.*

- *დემოკრატიული მმართველობისაგან განსხვავებულ, სახელმწიფოთა მმართველობის რა ფორმებს იცნობთ?*
- *რა სხვაობაა დემოკრატიულ მმართველობასა და მმართველობის ამ ფორმებს შორის?*
- *შეგიძლიათ დაასახელოთ სახელმწიფოები, რომლებშიც დემოკრატიული მმართველობისაგან განსხვავებული სისტემები მოქმედებს?*
- *შეგიძლიათ დაასახელოთ ადგილი, რომელიც თქვენთან ახლოსაა და რომელშიც დემოკრატიული მმართველობისაგან განსხვავებული სისტემები მოქმედებს?*

დემოკრატიული მოქალაქეობის კონცეფცია ახალგაზრდებისათვის შესაძლებელია უცხო იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი მათ **რეალობას უკავშირდება**. ჩვენ მიერ რეკომენდებული კითხვები მიზნად ისახავს ახალგაზრდების წახალისებას, რათა დაფიქრდნენ, თუ რამდენად დემოკრატიულია მათი სკოლა ან ორგანიზაცია.

- თქვენს სკოლაში, გუნდში ან კლუბში არის თუ არა წესები, რომლებსაც ყველა თქვენგანი იცავს, რათა შესაძლებელი იყოს საქმის ერთად კეთება, თანაცხოვრება და ერთად მუშაობა?
- რა უფლებებით სარგებლობთ და რა პასუხისმგებლობები გაკისრიათ?
- ვინ შექმნა ეს წესები?
- შესაძლებელია თუ არა ამ წესების შეცვლა? თუ შესაძლებელია, როგორ?

» იმ შემთხვევაში, თუ გარემოში, სადაც თქვენ მუშაობთ და მოღვაწეობთ, არ არსებობს „საერთო წესები“, ან წესები, რომლებიც მოქმედებს, არასაკმარისად დემოკრატიულია, ვინაიდან ისინი ზემდგომი ორგანოდან ნაკარნახევ წესებს წარმოადგენს, თქვენ შეგიძლიათ, შექმნათ წესები მხოლოდ თქვენი ჯგუფისათვის, რომელიც შეთანხმებული იქნება ჯგუფის ყველა წევრთან, მათ შორის, თქვენთან, მასწავლებელთან.

Compasito, *თავი IV*
2. კონსტიტუცია ჩვენი ჯგუფისათვის
აქტივობა, რომელიც გულისხმობს შეთანხმების მიღწევას და ემსახურება უფლებებსა და პასუხისმგებლობებს შორის არსებული ურთიერთობის დადგენას, უფლებათა შემუშავებისა და დაცვის პროცესებში მონაწილეობის მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნითა და ჯგუფისათვის წესებისა და პასუხისმგებლობების შეთანხმებული ნაკრების შექმნის მიზნით.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 1*
1.2. უფლებები, პასუხისმგებლობები და წესები კლასში
აქტივობა, რომელიც გულისხმობს ეტაპობრივ მიდგომას და ემსახურება ახალგაზრდებისათვის უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და წესებს შორის კავშირის გაცნობასა და ამ კავშირების გაცნობიერებას (განსაკუთრებით, ჯგუფურ გარემოში).

პასუხისმგებლობები

რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები ამ წესებს არღვევენ?

მოცემული ბოლო კითხვა ემსახურება ახალგაზრდებისათვის იმ რეალობის გაცნობას, რომ ზოგჯერ საჭიროა მოქმედება და გარკვეული ზომების მიღება, რათა აღვკვეთოთ ადამიანების მხრიდან წესების დარღვევის შემთხვევები, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იგი ემსახურება ახალგაზრდების მიერ იმის გააზრებას, თუ რა გავლენა აქვს ჩვენს ქმედებებს სხვა ადამიანებზე. მას შემდეგ, რაც ადამიანები გააცნობიერებენ საკუთარ უფლებებს, საჭიროა, აიღონ **პასუხისმგებლობა** არა მარტო საკუთარ უფლებებზე, არამედ, აგრეთვე, სხვა ადამიანების უფლებებზეც.

Compasito, *თავი IV*

40. სიტყვები, რომლებიც ჭრილობებს გვაყენებს

აქტივობა, რომელიც გულისხმობს დისკუსიის გამართვას და რომელიც ემსახურება აზრის გამოხატვის თავისუფლების საზღვრების გაცნობიერებას, მეტყველებისას საზიანო და საწყენი სიტყვების გამოყენების მიზეზებსა და შედეგებზე დაფიქრებას.

მონაწილეობა

შესაძლებელია, ახალგაზრდები დაინტერესდნენ **საარჩევნო სისტემით** და მოისურვონ ამ თემის სიღრმისეულად განხილვა, რათა უკეთ გააცნობიერონ, რაც მათი მონაწილეობის ხელშეწყობას ემსახურება.

Compasito, *თავი IV*

13. ყველა ხმა ითვლება

სიმულაცია, რომელიც ემსახურება სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და დემოკრატიული კენჭისყრის მექანიზმის გაცნობას.

თუმცა, როდესაც დემოკრატიის კვლევა კონკრეტულ გარემოში წარმოებს, თქვენ შეიძლება გაგიჩნდეთ სურვილი, აუხსნათ ახალგაზრდებს, რომ მონაწილეობა მხოლოდ კენჭისყრითა და არჩევნებში მონაწილეობით არ შემოიფარგლება და იგი გაცილებით უფრო ფართო ცნებას წარმოადგენს.

» *ვიდრე მოქმედი პირის მიერ მოყვანილი მაგალითის კითხვას შეუდგებოდნენ, ჰკითხეთ ჯგუფის წევრებს, სარგებლობენ თუ არა ისინი მონაწილეობის უფლებით.*
» *გონებრივი იერიშის მეთოდით, გამოჰკითხეთ ჯგუფს, სხვა რა საშუალებებით არის, მათი აზრით, შესაძლებელი სასურველი ცვლილების შეტანა საზოგადოებაში, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. გონებრივი იერიშის მეთოდით, იგივე გამოკითხვა გააგრძელეთ მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრები გაეცნობიან მოყვანილ მაგალითს.*

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ბავშვები და ახალგაზრდები, მიუხედავად მათი ასაკისა და კონკრეტული საჭიროებებისა, სარგებლობენ **მონაწილეობის** უფლებით (უფლებათა სამი კატეგორიიდან ერთ-ერთით, დაცვისა და უზრუნველყოფის კატეგორიებთან ერთად), რაც მოიცავს:

- საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებას საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ;
- გამოხატვის თავისუფლებას;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას;
- ასოციაციაში გაერთიანების თავისუფლებას;
- ინფორმაციის მიღების უფლებას;
- საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას.

ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული უფლებები შესაძლებელია ყოველთვის თვალსაჩინო არ იყოს, ვინაიდან მათი აღიარება მხოლოდ 1989 წელს, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციაზე ხელმოწერის საშუალებით განხორციელდა და მანამდე არსებულ არც ერთ დოკუმენტში არ ყოფილა ნახსენები. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ბავშვების უფლებები (ისევე, როგორც მათთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები) ყოველთვის უნდა განიხილებოდეს **ბავშვების მზარდი უნარების** გათვალისწინებით.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 7*
7.8 დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობის გზები
აქტივობა, რომელიც გულისხმობს დისკუსიას და ემსახურება პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლო ფორმების ანალიზს.

Compasito, *თავი IV*
37. სად დგახარ?
აქტივობა, რომელიც გულისხმობს დისკუსიას, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები ფიზიკურ პოზიციებს იკავებენ ოთახში და ამის შემდეგ ცდილობენ, ახსნან და დაასაბუთონ თავიანთი შეხედულებები და მოსაზრებები. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული აქტივობის მისადაგება შესაძლებელია ნებისმიერ თემასთან, დისკუსიისათვის რეკომენდებული წინადადებები ეხება ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის უფლებას.

Compass
კიბეზე
აქტივობა გულისხმობს სიტუაციურ თამაშსა და დისკუსიას, რომლის დროსაც მონაწილეები აცნობიერებენ ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობას და განიხილავენ ადგილობრივ საზოგადოებაში მათი მონაწილეობის გაზრდის შესაძლო გზებსა და საშუალებებს.

ორი ქალაქის ამბავი
სამაგიდო თამაში, რომლის დროსაც მონაწილეები, ხმის მიცემის საშუალებით, ირჩევენ ქალაქს, რომელშიც მათ სურთ ცხოვრება და პირობებს, რომლებიც მათ სურთ, რომ ჰქონდეთ ამ ქალაქში. აქტივობა ემსახურება ახალგაზრდებისათვის ისეთი საკითხების გაცნობას, როგორებიცაა: სოციალური სოლიდარობა, გადასახადების გადახდის ვალდებულება და ადგილობრივი დემოკრატიის ფასი.

4. რას წარმოადგენს განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ?

განათლება: უფლება და ინსტრუმენტი

განათლება თავისთავად წარმოადგენს უფლებას, მაგრამ, ამავდროულად, არის სხვა უფლებების განხორციელების გზა.

» განიხილეთ ეს მოსაზრება:
- *ჩამონათვალში, რომელიც თქვენ შეადგინეთ და რომელშიც თქვენი საჭიროებებია მოცემული (**თავში 2**), შესულია თუ არა „განათლება“?*
- *იმ შემთხვევაში, თუ ამ ჩამონათვალში განათლება შესული არ არის, არის თუ არა განათლებასთან დაკავშირებული სხვა ცნებები (როგორებიცაა: სწავლა, ახალი ცოდნისა თუ უნარების შეძენა, კითხვა, ინფორმაციის მიღება და ა. შ.)?*
- *თქვენი აზრით, რატომ შედის განათლება ადამიანის უფლებათა ჩამონათვალში?*
- *რა სარგებლის მოტანა შეუძლია თქვენთვის განათლებას?*
- *ვიდრე მე-12 გვერდზე მოცემულ იდეებს გაეცნობოდით, რომელიც განათლებაში მონაწილე სხეულის სხვადასხვა ნაწილებს გვიჩვენებს, ოდესმე გიფიქრიათ, რომ განათლებას ეს შეეძლო?*

Compass, *თავი 2*
2.5 განათლება ყველასათვის?
მოცემული აქტივობა გულისხმობს ბარათების დაწყვილებას, რომლის ფარგლებშიც, ჯგუფის წევრები იკვლევენ განათლების უფლებას და აცნობიერებენ მსოფლიოში განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებულ უთანასწორობას.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ

მოცემულ თავში პირველად შემოდის აღნიშნული სწავლების ცნება და ამის შემდეგ იგი ხშირად გვხვდება დოკუმენტში. შეგიძლიათ, რამდენიმე წუთი დაუთმოთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების გაცნობას ახალგაზრდებისათვის, თუ მიიჩნევთ, რომ მათ იგი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ აქვთ გაცნობიერებული.

» სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, საკუთარი სიტყვებით ახსნან, რას შეიძლება ნიშნავდეს განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას საერთო მიზანი აქვს, ვინაიდან დემოკრატია და ადამიანის უფლებები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ფოკუსის მცირედ ცვლილებაში გამოიხატება და იმდენად ნიუანსურია, რომ ახალგაზრდებისათვის ამ ეტაპზე მასზე საუბარი არ წარმოადგენს აუცილებლობას. ამრიგად, „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტში ეს ორი სწავლება გაერთიანებულია და ერთი ცნების სახით არის მოცემული.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების მახასიათებლები

დოკუმენტში მოცემულ ტექსტში ნათქვამია, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მოიცავს შემსწავლელთათვის ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას.

» განიხილეთ ეს მოსაზრება:
  - რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი?
  - აქ ვსაუბრობთ ამ თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ?
  - თქვენი აზრით, როგორ არის შესაძლებელი მათი ჩართვა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში?

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას **ჰოლისტური მიდგომა** ახასიათებს, ვინაიდან სწავლის პროცესში იგი ითვალისწინებს სამ განზომილებას: უნარებს (რომელიც ნახატზე მეტაფორულად ხელების სახით არის გამოსახული), დამოკიდებულებებს (რომელიც ნახატზე მეტაფორულად გულის სახით არის გამოსახული) და ცოდნას (რომელიც ნახატზე მეტაფორულად თავის სახით არის გამოსახული). ამრიგად, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლების სფეროში კომპეტენტურობა მხოლოდ თეორიის ცოდნით არ შემოიფარგლება.

» მოცემულ ცნებებზე ჯგუფთან მუშაობისას, შეეცადეთ, ჯგუფის წევრებმა გააცნობიერონ, რომ ისინი უკვე მუშაობენ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სამ განზომილებაში, რასაც ისინი ხშირად ვერ აცნობიერებენ.
  - სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, ამოიცნონ შემდეგი ელემენტები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში:

ადამიანის უფლებები	დემოკრატიული მოქალაქეობა	კომპეტენსია
რა იცით ადამიანის უფლებების შესახებ	რა იცით დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ	ცოდნა
როგორ ახორციელებთ პრაქტიკაში თქვენს ცოდნას ადამიანის უფლებების შესახებ	როგორ ახორციელებთ პრაქტიკაში თქვენს ცოდნას დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ	უნარები
სიტუაცია, როდესაც თქვენ გაქვთ განცდა იმისა, რომ ადამიანის უფლებები დაცულია	სიტუაცია, როდესაც თქვენ გაქვთ განცდა იმისა, რომ დემოკრატიულ მოქალაქეობას პატივისცემით ეკიდებიან	დამოკიდებულებები

» ყურადღება მიაქციეთ, რომ პოსტერზე გამოსახული ერთ-ერთი წინადადება, რომელიც შესაძლებელია დავუკავშიროთ მოცემულ თავს, ძირითადად, ცოდნას ეხება [„ჩვენი ქმედებით ჩვენ ვსწავლობთ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის შესახებ“].
- *შეესაბამება თუ არა მოცემული წინადადება თქვენს რეალობას?*
- *მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენ, ასევე, სწავლობთ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისათვის (უნარები) და ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის საშუალებით (დამოკიდებულებები)?*

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მეთოდოლოგია

- **Composito**
  ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ბავშვებისათვის (გვ. 25-28)
  ემპირიული სწავლა (გვ. 38-40)
- **განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი I:**
  განათლება დემოკრატიისათვის, თავი 3
  ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა (გვ. 46-47. 124 და 132)

5. რა არის ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის პრინციპები?

პრინციპების პატივისცემა



დაცულია თუ არა ეს პრინციპები ჯგუფში, რომელსაც თქვენ ეკუთვნით?

მოცემულ თავში, რომელიც ხუთ თემად არის გაყოფილი, საუბარია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპებსა და ღირებულებებზე. ბარომეტრები განკუთვნილია ახალგაზრდების ჯგუფისათვის, რათა მათ, თავიანთი შეხედულებით, შეაფასონ, თუ რამდენად არის წარმოდგენილი და დაცული მოცემული პრინციპები მათ ჯგუფში.

» მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრები ინდივიდუალურ შეფასებებს აწარმოებენ, მათთან ერთად განიხილეთ ეს მოსაზრებები და შეამოწმეთ, არის თუ არა არსებითი სხვაობა ჯგუფის წევრების პასუხებში.

» იმ შემთხვევაში, თუ პასუხებში დიდი სხვაობა აღმოჩნდება, ან იმ შემთხვევაში, თუ, ზოგადი მოსაზრებით, ჯგუფში ღირებულებები წარმოდგენილი არ არის, სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, უპასუხონ შემდეგ კითხვებს:
  - რატომ მიიჩნევთ, რომ ეს ღირებულებები თქვენს ჯგუფში არ არის დაცული?
  - შეგიძლიათ მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითები, რომლებიც დაადასტურებს, რომ ეს ღირებულებები თქვენს ჯგუფში არ არის დაცული?
  - შესაძლებელია თუ არა რამის გაკეთება, არსებული სიტუაციის შესაცვლელად?

» იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის მიერ დაფიქსირებული პასუხებიდან ირკვევა, რომ ჯგუფის წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ ღირებულებები მათ ჯგუფში დაცულია, დაუსვით შემდეგი შეკითხვა:
  - შეგიძლიათ დაასახელოთ ადგილი, რომელიც თქვენთვის კარგად არის ნაცნობი და რომელშიც ეს ღირებულებები წარმოდგენილი და დაცული არ არის?

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გსურთ, თითოეული პრინციპი დეტალურად განიხილოთ ჯგუფის წევრებთან, ჩვენ გთავაზობთ რამდენიმე აქტივობას, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ.

მრავალფეროვნების დაფასება

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 1*
1.4 ყვავილების თაიგული
შემოქმედებითი აქტივობა, რომელიც ემსახურება იმის აღქმასა და დაფასებას, რომ ჯგუფში თითოეული პიროვნება უნიკალური და განსხვავებულია და საკუთარი წვლილით განაპირობებს ჯგუფის ძლიერებას.

თქვენს ქვეყანაში რა წარმოდგენებს ამკვიდრებს მედია იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც უმრავლესობისაგან განსხვავდებიან? თქვენი აზრით, რა წარმოდგენებს უნდა ამკვიდრებდეს მედია იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც უმრავლესობისაგან განსხვავდებიან?

Compasito, *თავი IV*
38. ვინ დგას ჩემ უკან?
თამაში გამოცნობაზე, რომელიც ემსახურება სტერეოტიპების, ცრუ წარმოდგენებსა და დისკრიმინაციას შორის კავშირის განხილვას და სტერეოტიპებისა და ცრუ წარმოდგენების დამკვიდრებაში მედიის როლის ანალიზს.

„ცოცხალი ბიბლიოთეკა“ ჩვეულებრივი ბიბლიოთეკის მსგავსად ფუნქციონირებს, სადაც მკითხველი მოდის, დროებით გამოაქვს „წიგნი“ და, მას შემდეგ, რაც ამ წიგნის კითხვას დაასრულებს, წიგნს ბიბლიოთეკაში აბრუნებს. არის მხოლოდ ერთი განსხვავება: ცოცხალ ბიბლიოთეკაში წიგნების ფუნქციას ადამიანები ასრულებენ! ისინი იმ ადამიანთა ჯგუფებს მიეკუთვნებიან, რომელთა მიმართაც ხშირია დისკრიმინაცია. „წიგნები“ და მკითხველები ერთმანეთს ესაუბრებიან, ამგვარად, მკითხველს ეძლევა საშუალება, გაიცნოს ადამიანი ისეთი, როგორსაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს და შეცვალოს ის უარყოფითი წარმოდგენა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შესახებ, რომელიც მას შესაძლოა მანამდე ჩამოუყალიბდა.

» *„ცოცხალი ბიბლიოთეკის“ მაგალითი და ბოშას მიერ გაკეთებული განცხადება შესაძლებელია მსჯელობის საგანი გახდეს:*
  - *ჩვენს ქალაქში „ცოცხალი ბიბლიოთეკის“ ორგანიზებას თუ გადავწყვეტთ, ვინ შეგვიძლია მოვიწვიოთ? რა ჯგუფები არსებობს ჩვენ ირგვლივ, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან?*
  - *როდესაც ბოშებზე ფიქრობთ, რა აზრები გებადებათ?*
  - *ოდესმე შეხვედრიხართ ვინმეს ამ ჯგუფებიდან, ან ბოშას?*
  - *რა კითხვებს დაუსვამდით იმისათვის, რომ უკეთ გაგეცნოთ ისინი?*

Compass, *თავი 2*
რეაგირება რასიზმზე
სიტუაციური თამაში, რომელიც გულისხმობს ინციდენტის გათამაშებას და ემსახურება რასიზმთან და უმცირესობათა შესახებ, განსაკუთრებით, ბოშების შესახებ არსებულ ცრუ წარმოდგენებთან დაკავშირებული საკითხების კვლევას და, აგრეთვე, სკოლებსა თუ სხვა ორგანიზაციებში რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზების ძიებას.

ყველას ჩართულობა

ოდესმე გიგრძვნიათ თავი ჯგუფიდან გარიყულად? [...]

» *ახალგაზრდების ჯგუფთან თემის შემოტანა შესაძლებელია იმ მაგალითების განხილვითა და მათზე მსჯელობის წამოწყებით, რომლებიც მოქმედი პირების მიერ არის მოყვანილი:*
  - *ოდესმე მსგავსი შემთხვევა თუ გქონიათ თქვენ ან ვინმეს, ვისაც თქვენ იცნობთ?*
  - *რას მოიმოქმედებდით მსგავს სიტუაციაში?*
  - *რა შეეძლოთ მოემოქმედებინათ თანატოლებს, მომხდარის თავიდან ასაცილებლად?*

არიან თქვენს კლასში ან ჯგუფში ადამიანები, რომლებიც თავს, შესაძლებელია, გარიყულად გრძნობდნენ? რა არის ამის მიზეზი?

» *იმსჯელეთ იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანებმა თქვენს ჯგუფში თავი გარიყულად არ იგრძნონ.*

> არიან თქვენს ირგვლივ ადამიანები, რომლებსაც საზოგადოების წევრებად არ მიიჩნევენ? რა უნდა შეიცვალოს თქვენს საზოგადოებაში იმისათვის, რომ თქვენ ირგვლივ მყოფმა ყველა ადამიანმა თავი ამ საზოგადოების წევრად იგრძნოს?

» *ჯგუფთან ერთად განიხილეთ, თუ რა მიზეზები შეიძლება არსებობდეს, რომლებიც განაპირობებს საზოგადოებიდან ადამიანის გარიყვას და განიხილეთ ის შესაძლო გზები და საშუალებები, რომლებიც საზოგადოებიდან ადამიანის გარიყვას შეაჩერებს.*

> თქვენს სკოლაში ან ორგანიზაციაში გოგონებისა და ვაჟებისადმი მოპყრობა განსხვავებულია?

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ სურვილი გაგიჩნდებათ, გააგრძელოთ მსჯელობა მოცემულ თემაზე და დეტალურად განიხილოთ **გენდერული დისკრიმინაცია** და დისკრიმინაცია, რომელიც **სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით** არის განპირობებული, თქვენ შეგიძლიათ, გამოიყენოთ აქტივობები, რომლებიც ახალგაზრდებს ამ საკითხების გაცნობიერებაში დაეხმარება.

Compasito, *თავი IV*
35. რა მომწონს და რას ვაკეთებ
აქტივობა, რომელიც გულისხმობს ჯგუფის წევრებს შორის დისკუსიის გამართვას და რომელიც ემსახურება გენდერული სტერეოტიპების გავლენის გაცნობიერებას.

7. ბიჭები არ ტირიან
სავარჯიშო, რომელიც ჯგუფის წევრების მიერ განცხადებების გაკეთებას გულისხმობს და რომელიც ემსახურება გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული თანასწორობის განხილვას.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება. თავი 4*
4.6 ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ, მაგრამ ზოგნი უფრო მეტად
აქტივობა, რომელიც გულისხმობს ხატვასა და აზროვნებას, რომელიც ემსახურება დისკრიმინაციის მიზეზების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ყურადღების კონცენტრირებით.

თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველასათვის

> მე დიდ ბრიტანეთში ვცხოვრობ და ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი ვარ. ამავე ორგანიზაციაში არის ერთი ბიჭი, სახელად უილიამი [...]

» *უილიამის შემთხვევის განხილვისას, შეგიძლიათ, მსჯელობა განავრცოთ ჯგუფის წევრებისათვის შემდეგი კითხვების დასმით:*
- *იცნობთ ახალგაზრდებს, რომლებსაც უილიამის მსგავსი პრობლემები აქვთ? მათაც ისევე მოსწონთ თქვენს ჯგუფში ყოფნა, როგორც ეს უილიამს მოსწონს?*
- *რა უნდა შევცვალოთ ჩვენ, როგორც ჯგუფმა, თუ ჯგუფში შემოგვიერთდება ახალი წევრი, რომელსაც უილიამის მსგავსი ან სხვა ტიპის პრობლემები აქვს?*

ვინაიდან მაგალითი ეხება ჯგუფიდან იმ ადამიანების გარიყვის პრობლემას, რომელნიც **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს წარმოადგენენ ან განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებენ**, თქვენ შეგიძლიათ, ჯგუფთან მუშაობისას, გამოიყენოთ ქვემოთ მოყვანილი აქტივობები, რომლებიც დაგეხმარებათ ახალგაზრდების მომზადებაში მუშაობისთვის, რომელიც გულისხმობს გარემოზე დაკვირვებას.

Compasito, *თავი IV*
5. თვალახვეული
სიმულაცია, რომელიც ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების სპეციფიკური უფლებებისა და საჭიროებების გაცნობიერებას.

Compasito, *თავი IV*
28. საუბარი ხმის ამოღების გარეშე
სიტუაციური თამაში, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების მიერ სმენასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ადამიანების სირთულეების აღქმას და პოზიტიური დისკრიმინაციის საჭიროების გააზრებას.

Compass, *თავი 2*
დაინახე უნარი!
პრაქტიკული აქტივობა, რომელიც ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პრობლემების გაცნობიერებას, იმ სირთულეების გაცნობიერებას, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები აწყდებიან საზოგადოებაში ინტეგრირებისას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებათა აღქმას ადამიანის ძირითადი უფლებების რანგში.

- რუკაზე მონიშნეთ თქვენი საყვარელი ადგილები. ეწვიეთ ამ ადგილებს და დააკვირდით [...]

» *სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, გამოიკვლიონ, თუ რა დაბრკოლებებია წარმოდგენილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც მათი საზოგადოების წევრები ხშირად სტუმრობენ.*
» *უზრუნველყავით, რომ მოსწავლეების მიერ შემოთავაზებული ცვლილებების შესახებ წინადადება მიაწოდოთ შესაბამის უწყებებს, რომლებიც შეძლებენ მათ გათვალისწინებას:*
  - *ასოციაციას, რომელიც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე და რომელსაც შესწევს უნარი, ლობირება გაუწიოს ცვლილებას;*
  - *ქალაქის მუნიციპალურ უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.*

მრავალფეროვნება, სტერეოტიპები და ცრუ წარმოდგენები

გარდა ზემოთ მოყვანილი კონკრეტული მაგალითებისა, ახალგაზრდებისათვის საინტერესო იქნება საუბრები, ზოგადად, განსხვავებებსა და მრავალფეროვნებაზე. ამ ეტაპზე შესაძლებელია განხილული იქნეს საკითხები, რომლებიც უკავშირდება სტერეოტიპებსა და ცრუ წარმოდგენებს.

» *გონებრივი იერიშის მეთოდით, გამოჰკითხეთ ჯგუფის წევრებს, რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ კონკრეტული ადამიანი განსხვავებულ პიროვნებად იქნეს აღქმული. ეცადეთ, აიძულოთ ახალგაზრდები, დაასახელონ ის მიზეზები, რომლებიც მანამდე გამართული მსჯელობებისას არ ყოფილა ნახსენები.*

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 4*
4.5 ყველას გვაქვს ცრუ წარმოდგენები
თამაში, რომელიც ემსახურება სხვა ადამიანებზე არსებული სტერეოტიპებისა და ცრუ წარმოდგენების იდენტიფიცირებასა და მათ ანალიზს.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 5*
5.2 გამონაკლისი
თამაში, რომელიც ემსახურება ჯგუფისათვის დისკრიმინაციის თემის გაცნობას.

Compasito *(თავი IV. 29)* და **Compass** *(თავი 2)*
ერთი ნაბიჯი წინ
სიმულაცია, რომელიც ემსახურება განსხვავებული ადამიანების მიმართ თანაგრძნობის შთაგონებას და საზოგადოებაში არსებული არათანაბარი შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობას.

ადამიანის ღირსების პატივისცემა

მუშაობა რწმენის გასაღრმავებლად იმის შესახებ, რომ ყველა ჩვენგანი თანასწორია:

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 3*
3.2 თოკები
აქტივობა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების მიერ იმის გაცნობიერებას, რომ ყველა ადამიანს საერთო წარმომავლობის ისტორია აქვს.

> თავს ყველა უსაფრთხოდ გრძნობს თქვენს სკოლაში ან ჯგუფში?

ჯგუფში უსაფრთხოების შეგრძნებაზე, ჯგუფის წევრების მიერ ერთმანეთისათვის საკუთარი მოსაზრებების გაზიარების პროცესში, ყველა წევრი შესაძლებელია არ იყოს გულწრფელი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში ადგილი აქვს ფარულ შევიწროებას, ან ჯგუფის რომელიმე წევრის ახლობლებიდან აქვს ვინმეს მსგავსი პრობლემა. გარკვეული ემპირიული აქტივობები შესაძლებელია უფრო ეფექტური აღმოჩნდეს ამ საკითხის შესწავლის თვალსაზრისით, ვიდრე მხოლოდ მასზე მსჯელობა.

Compasito, *თავი IV*
8. შევიწროების სცენები
აქტივობა, რომელიც გულისხმობს საკითხის განხილვას; ემსახურება ჯგუფის წევრების მიერ შევიწროებისა და დევნის სხვადასხვა ფორმის გაცნობიერებას და მათზე რეაგირების გზებისა და საშუალებების ანალიზს.

Compass, *თავი 2*
არსებობს გამოსავალი?
სიტუაციური თამაში, რომელიც ემსახურება ჯგუფის წევრების მიერ პიროვნებებს შორის ძალადობის, შევიწროებისა და დევნის საკითხების ანალიზს.

მშვიდობიან გარემოში ცხოვრება

> როგორ უმკლავდებით და აგვარებთ ჯგუფის წევრებს შორის ან კლასის მოსწავლეთა შორის წამოჭრილ კონფლიქტებს?

» *ჯგუფთან ერთად განიხილეთ ახალგაზრდების პასუხები კითხვაზე, თუ როგორ უმკლავდებიან და აგვარებენ ისინი კონფლიქტებს:*
  - *ის გზები და საშუალებები, რომლებსაც თქვენ ამჟამად იყენებთ კონფლიქტების მოსაგვარებლად, ესადაგება „მშვიდობიან გარემოში ცხოვრების“ პრინციპს?*
  - *არსებობს კონფლიქტების მოგვარებისას თქვენ მიერ გამოყენებული მეთოდების რაიმე ალტერნატიული მეთოდები?*

- *გსმენიათ ან იცით ისეთი სკოლის ან ჯგუფის შესახებ, რომელიც, კონფლიქტის მოსაგვარებლად, მაგალითში მოყვანილ მეთოდს იყენებს?*
- *საჭიროა თუ არა, თქვენს ჯგუფშიც დაინერგოს კონფლიქტების მოგვარების მაგალითში მოყვანილი საშუალება? როგორ შეიძლება ამის ორგანიზება?*

Compass, *თავი 2*
ენერგოსადგური
აქტივობა, რომელიც გულისხმობს, ჯგუფის წევრების მიერ, გონებრივი იერიშის მეთოდით, ყოველდღიური ცხოვრებიდან ძალადობის მაგალითების დასახელებას, მათთან გამკლავების გზების ძიებასა და პრობლემის გადაჭრის საშუალებების გამოძებნას.

Compasito, *თავი IV*
21. ძალადობის აღკვეთის გზების ძიება
აქტივობა, რომელიც გულისხმობს ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენის გამართვას, კონფლიქტის მოგვარების არაძალადობრივი გზებისა და საშუალებების შემუშავების მიზნით.

მოცემული ორი აქტივობის შეტანა ჯგუფში შესაძლებელია იმ მიზნით, რომ ჯგუფის წევრებმა გააცნობიერონ კავშირი, ამავე თავის წინა ნაწილში – **„ადამიანის ღირსების პატივისცემა“** – განხილულ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხსა და მოცემულ ნაწილში – **„მშვიდობიან გარემოში ცხოვრება“** – განხილულ კონფლიქტის მოგვარების პრინციპს შორის. გარდა ამისა, ჩვენ მიერ რეკომენდებული ბოლო აქტივობა გულისხმობს ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენის გამართვას, იმ ნიმუშის მიხედვით, რომელიც მოცემულია „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტის მე-18 გვერდზე და რომელიც ეხება შევიწროებასა და ჩაგვრას ჯგუფის წევრებს შორის.

Compasito, *თავი IV*
30. დაპირისპირება ფორთოხლის გამო
აქტივობის მიზანს წარმოადგენს ჯგუფის წევრებს შორის დისკუსიის გამართვა, კონფლიქტურ სიტუაციაში კომუნიკაციის აუცილებლობის შესახებ და კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიების კვლევა.

11. ნამცხვრებს დაუფლებული დრაკონი
აქტივობა, რომელიც გულისხმობს ჯგუფის წევრებს შორის მოლაპარაკებების წარმოებას და მათ მიერ თანაბარ უფლებებთან, მოლაპარაკებებთან და მშვიდობიან ყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 8*
8.2 სტრუქტურული მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი
სავარჯიშო, რომელიც გულისხმობს ჯგუფის წევრების მიერ დასახული ამოცანისათვის თავის გართმევას და რომელიც ემსახურება კონფლიქტის მოგვარების ექვსეტაპიანი ტექნიკის ათვისებას.

8.6. *სასჯელი კონფლიქტის პოზიტიური მოგვარების წინააღმდეგ*
ამოცანა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში კონფლიქტის მოგვარებისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას და მათ გამხნევებასა და წახალისებას, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ თემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. მისი დაკავშირება მარტივად არის შესაძლებელი „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტში მოცემულ მაგალითთან, რომელიც თანატოლ-მომრიგებლებს ეხება.

6. ვინ მონაწილეობს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში?

განათლება ყველასათვის

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ყველას ეხება და მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე გრძელდება.

» *ზოგიერთი კითხვა შესაძლებელია დაეხმაროს ახალგაზრდებს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი სწავლის პროცესს:*
- *რა გეგმები გაქვთ მას შემდეგ, რაც სკოლას დაამთავრებთ?*
- *სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას აღარ აპირებთ? (სწავლის, და არა ცოდნის შეძენის)*
- *ამჯერად ცოდნას მხოლოდ სკოლაში იძენთ?*
- *ზრდასრულმა ადამიანებმა, რომლებიც თქვენ ირგვლივ იმყოფებიან, ყველაფერი იციან? ცოდნის შეძენას ისინი კვლავ განაგრძობენ?*

განათლების წყაროები

- სად შეუძლიათ ადამიანებს სწავლა და განათლების მიღება? გააგრძელეთ ჩამონათვალი: სკოლაში, ბიბლიოთეკაში, სახლში

Compasito, *თავი IV*
1. ცოდნის აგებულება
სავარჯიშო, რომელიც გულისხმობს ჯგუფის წევრების ხატვით დაკავებას და განათლების უფლებაზე საუბარს და ემსახურება მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლებას იმ გზების, საშუალებებისა და ადგილების შესახებ, სადაც შესაძლებელია ცოდნის მიღება.

» *ვიდრე მოცემულ თავში შესულ მასალას გაეცნობიან, ჯგუფის წევრები ჩართეთ აქტივობებში, რომლებიც თანამიმდევრობით არის მოცემული ქვემოთ, რათა მათ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ განათლების წყაროებზე (ქვემოთ მოცემული ეტაპები აღებულია აქტივობიდან, რომელიც შესულია სახელმძღვანელოში „Compasito“).*

<u>პირველი ეტაპი:</u> სთხოვეთ ახალგაზრდებს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა ცოდნას ფლობენ და რისი კეთება შეუძლიათ კარგად, იმ კომპეტენციების ფარგლებში, რომლებსაც ფლობენ, როგორც გონებრივი, ასევე, ფიზიკური თვალსაზრისით (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები). იმ შემთხვევაში, თუ მათი ჩამონათვალი ძალიან ბევრ ელემენტს მოიცავს, სთხოვეთ, შეარჩიონ 10 ელემენტი, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. შეეცადეთ, ჯგუფის წევრებმა ყურადღება გაამახვილონ იმაზე, შეიცავს თუ არა მათი ჩამონათვალი ისეთ ელემენტებს, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას უკავშირდება. თუ მათ ჩამონათვალში მსგავსი ელემენტი წარმოდგენილი არ არის, სთხოვეთ, მოიფიქრონ და ჩამონათვალში დაამატონ ერთი ასეთი ელემენტი.

<u>მეორე ეტაპი:</u> დაფიქრდით იმ ყველა ელემენტზე, რომელიც ჯგუფის წევრებმა საკუთარ ჩამონათვალში შეიტანეს და იმაზე, თუ როგორ შეისწავლეს ისინი. სთხოვეთ, თითოეული ელემენტის გასწვრივ დაწერონ, თუ რა ადგილას შეისწავლეს იგი, რა გარემოებაში, რომელ დაწესებულებაში და ვისი დახმარებით.

<u>მესამე ეტაპი:</u> დაუსვით ჯგუფის წევრებს შემდეგი კითხვები:
- *მარტივი იყო იმის მოფიქრება, რისი კეთება შეგიძლიათ?*

- *უფრო რთული იყო იმ ელემენტების მოფიქრება, რომლებიც დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს უკავშირდება?*
- *ყოველთვის გახსოვთ, სად შეისწავლეთ ისინი?*
- *ყველაფერი, რისი კეთებაც შეგიძლიათ, ერთი ადამიანისაგან და ერთ ადგილზე შეისწავლეთ?*

მოცემული სავარჯიშოს შემდეგ ახალგაზრდებისათვის უფრო მარტივი იქნება, შეავსონ ჩამონათვალი, რომელიც დოკუმენტის მოცემული თავის პირველ გვერდზეა მოცემული.



☐ დაუბრუნდით მე-20 გვერდზე მოცემულ ჩამონათვალს იმ ადამიანებისა და ადგილების შესახებ, რომლებიც ჩვენ მიერ ცოდნის შეძენის პროცესზე ახდენენ გავლენას და შეავსეთ ჩამონათვალი იმ ელემენტებით, რომელთა შესახებაც მოცემულ თავში შეიტყვეთ.

» *ჩამონათვალი, რომელიც დოკუმენტშია მოცემული, შესაძლებელია, მოიცავდეს: სკოლას (საბავშვო ბაღს, სკოლის დაწყებით საფეხურს, სკოლის საბამო საფეხურს), უნივერსიტეტს, არასამთავრობო ორგანიზაციას, ბიბლიოთეკას, მეზობლებს, მედიას, მშობლებსა და მეურვეებს, მეგობრებსა და ა.შ.*

ახალგაზრდებისათვის სასარგებლო იქნება იმის წარმოდგენა, თუ რამდენად ბევრ და განსხვავებულ ადგილას არის შესაძლებელი ცოდნის მიღება და, შესაბამისად, რამდენად ბევრ და განსხვავებულ გარემოში შეიძლება იქნეს განხორციელებული განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ. ქარტიის თანახმად, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების განხორციელებისას, საჭიროა, გათვალისწინებულ იქნეს ყველა ეს ინსტიტუტი, ვინაიდან ისინი ყველანი ამ პროცესის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას უკავშირდებიან და საჭიროა მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, რამდენადაც მეტ ინფორმაციას ფლობენ ახალგაზრდები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი, მით უფრო მეტად შეუძლიათ, ისარგებლონ სწავლის სხვადასხვა შესაძლებლობით.

თანასწორთა განათლება

ოდესმე თუ წარმოგიდგენიათ, რომ თქვენი ჯგუფის ან თანაკლასელების მასწავლებელი ყოფილიყავით? როგორ გამოიყენებდით ამას საკუთარი ცხოვრებისა და სხვების ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით?

» *დაუბრუნდით მაგალითებს, რომლებიც მოცემულია* **თავში 3**:
- *პორტუგალიის სკოლის მოსწავლეების მიერ გამართული თეატრალური წარმოდგენა (გვ. 18).*
- *ესპანეთის სკოლის მოსწავლეები, რომლებიც კონფლიქტების დროს მომრიგებლის ფუნქციას ასრულებენ (გვ. 19).*

» *განიხილეთ თანასწორთა განათლების შესაძლებლობები:*
- *მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის სწავლის პროცესში ჯგუფთან მუშაობა?*
- *შეგიძლიათ თანასწორთა განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება?*
- *თქვენი მეგობრების წრეში, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხელშეწყობის რა შესაძლო გზებსა და საშუალებებს შემოგვთავაზებდით?*

თანასწორთა განათლება და მოქმედება

Compasito

სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა აქტივობასთან შეგიძლიათ იხილოთ მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს, მათ შორის, თანასწორთა განათლებასთან დაკავშირებით.

7. იცავენ თუ არა სკოლები და ორგანიზაციები ადამიანის უფლებებსა და დემოკრატის პრინციპებს?

პრინციპები

შეგიძლიათ თუ არა, თამამად განაცხადოთ, რომ იმ გარემოში, სადაც თქვენ ცხოვრობთ და სწავლობთ (თქვენს სკოლაში, თქვენს ორგანიზაციაში, თქვენს სპორტულ კლუბში), დაცულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპები და ღირებულებები?

» *ახალგაზრდებმა კითხვაზე საკუთარი პასუხები ჯგუფის წევრებს უნდა გაუზიარონ. პასუხები დააკავშირეთ* **მე-5 თავში** *ჯგუფის წევრების მიერ ბარომეტრზე დატანილ აღნიშვნებთან.*
  - *რა დაბრკოლებები გვხვდება და როგორ შეიძლება მათი გადალახვა (თუ ჯგუფის წევრების მიერ გაცემული პასუხია „არასდროს“ ან „იშვიათად“)?*

შეგიძლიათ, დაასახელოთ კონკრეტული ქმედება, რომელსაც თქვენი სკოლა ან ახალგაზრდული ორგანიზაცია ახორციელებს, ან შეუძლია განახორციელოს, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვისა და დამკვიდრების მიზნით?

მიუხედავად იმისა, რომ პირველი კითხვა ზოგადი ხასიათისაა და მასზე გაცემული პასუხებიდან ვიგებთ, რამდენად არის წარმოდგენილი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა პრინციპები ჯგუფში, საინტერესო იქნება იმის კვლევა, თუ რა ქმნის იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ჯგუფის წევრებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უჩნდებათ.

» მოყვანილი მაგალითები განიხილეთ დეტალურად:
  - *რა პირობები არსებობს ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის ან სკოლაში მოსწავლის მიღებისათვის?*
  - *ესადაგება თუ არა ეს პირობები ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპებს?*

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პრაქტიკული გამოყენება

თქვენს სკოლაში ან ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, აქტივობების დაგეგმვისას, გათვალისწინებულია თუ არა თქვენი მოსაზრებები?
როგორ მიიღება გადაწყვეტილებები თქვენს ჯგუფში ან კლასში?
შესაძლებელია თუ არა არსებული პროცედურების გაუმჯობესება? როგორ?

» *მოცემული კითხვები მჭიდროდ უკავშირდება ჯგუფში დემოკრატიული პრინციპების არსებობის საკითხს. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, გაიხსენონ მათ მიერ გამართული მსჯელობა კითხვების მიხედვით, რომლებიც მოცემულია* **მე-3 თავში**, *გვ. 9.*
  - *ჯგუფში გადაწყვეტილების მიღების პროცედურები უკავშირდება ჯგუფში მოქმედ წესებს?*

ყველას ჩართულობის უზრუნველყოფა და აქტიური მონაწილეობა

ვინ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ და ვინ განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა ისწავლო შენ?

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული თავის ეს ნაწილი მჭიდროდ უკავშირდება წინა ნაწილს, რომელშიც განათლებაში მონაწილე ინსტიტუტებზე იყო საუბარი, ამ ნაწილში მნიშვნელოვანია, ჯგუფის წევრების ყურადღება გაამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ყველა დაწესებულებაში, რომელშიც მიმდინარეობს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ, ყველა მხარე აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული ამ სწავლების გახორციელებაში: მასწავლებლები და სხვა პერსონალი, შემსწავლელთა საზოგადოება და პოლიტიკოსები.

Compass, *თავი 2*
2.23 მოვუსმინოთ ყველას
სავარჯიშო, რომელიც გულისხმობს მცირერიცხოვან ჯგუფებში დისკუსიების გამართვას და შემდგომ ერთობლივ დისკუსიას საკითხზე – რას წარმოადგენს განათლება, როგორ აკმაყოფილებს იგი ადამიანების მოთხოვნებს და რას ნიშნავს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობა.

» *ჯგუფის წევრებს დაუსვით შემდეგი კითხვები, იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად აქვთ მათ გაცნობიერებული შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობა:*
  - *მიიჩნევთ თუ არა, რომ თქვენი აზრი გათვალისწინებულია გადაწყვეტილებებში, რომლებიც თქვენს განათლებას ეხება? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.*
  - *როგორ უნდა უზრუნველვყოთ ის, რომ თქვენი მოსაზრებები და შეხედულებები გათვალისწინებულ იქნეს?*

☐ არის თუ არა მოსწავლეთა საბჭო თქვენს სკოლაში ან მსგავსი სტრუქტურა თქვენს ორგანიზაციაში?

» *განიხილეთ მოსწავლეთა საბჭოს კონცეფცია:*
  - *განიხილეთ, რა დადებითი და უარყოფითი ასპექტები შეიძლება ახასიათებდეს დემოკრატიული გზით არჩეული ორგანოს (მოსწავლეთა საბჭო სკოლაში, ან მსგავსი ორგანო ახალგაზრდულ ორგანიზაციაში) მიერ, ადგილობრივ დონეზე, გადაწყვეტილების მიღებას თქვენს განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.*
  - *თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს საუკეთესო საბჭო?*
  - *როგორ უნდა იყოს იგი ორგანიზებული იმისათვის, რომ თქვენი აზრი გათვალისწინებულ იქნეს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში?*

პასუხისმგებლობები

თუ შევთანხმდებით იმის თაობაზე, რომ ჩვენს მოსაზრებებს გავუზიარებთ ჩვენი ჯგუფის წევრებს [...]

ბოლო მაგალითით, ჯგუფის წევრები ეცნობიან იმ ჭეშმარიტებას, რომ მონაწილეობა პასუხისმგებლობასაც გულისხმობს, რაც შეგვიძლია დავაკავშიროთ „ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტის **მე-2** და **მე-3 თავებში** მოცემულ სააზროვნო კითხვებთან.

» *საშუალება მიეცით ჯგუფის წევრებს, დაფიქრდნენ მოცემულ საკითხზე, ამისათვის დაუსვით მათ შემდეგი კითხვები:*
  - *ვის აკისრია პასუხისმგებლობა ჯგუფში? სკოლაში? ორგანიზაციაში?*
  - *რას წარმოადგენს ეს პასუხისმგებლობები?*

დემოკრატიული მმართველობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი I: განათლება დემოკრატიისათვის, თავი 1
1. პოლიტიკა, დემოკრატია და სკოლების დემოკრატიული მმართველობა

სკოლების დემოკრატიული მმართველობა: *www.coe.int/edc*

8. რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას?

„ქარტია ყველასათვის“ დოკუმენტის ბოლოს მოცემულია კონკრეტული მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ. თუმცა მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, მთელ დოკუმენტშია გაშლილი, ამაში თქვენც დარწმუნდებით, განსაკუთრებით, როდესაც კონკრეტულ საკითხს ჩაუღრმავდებით ჯგუფთან ერთად.

თანამშრომლობა

> წინამდებარე ქარტია არის დასტური იმისა, რომ თანამშრომლობა დადებითი შედეგის მომტანია [...]

» *იმისათვის, რათა მოსწავლეები დავარწმუნოთ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაში, სთხოვეთ მათ, დაფიქრდნენ მაგალითებზე, რომლებიც მათ გარშემო იჩენს თავს.*
- *სმენიათ რაიმე ტიპის საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ან მოსწავლეთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების შესახებ (დამეგობრებული სკოლები, ენის შემსწავლელთა კურსები საზღვარგარეთ, მუსიკალურ სკოლათა გაცვლითი პროგრამები და ა.შ.)?*
- *რას ფიქრობთ სკოლის ფარგლებს გარეთ თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების შესახებ?*
- *თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი სხვა ქვეყნის მცხოვრებთა გაცნობა და მათი ცხოვრების, ყოფისა და კულტურის შესახებ ინფორმაციის მიღება?*
- *თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი, ვფლობდეთ ინფორმაციას ჩვენს ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით? და რატომ არის მნიშვნელოვანი, ვფლობდეთ ინფორმაციას სხვა ქვეყნებში არსებულ სიტუაციაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით?*

ზემოთ მოცემული კითხვებიდან, ბოლო კითხვა მარტივად შეიძლება დავუკავშიროთ ადრე განხილულ მოსაზრებას ჩვენს უფლებებსა და სხვათა უფლებებს შორის პასუხისმგებლობის შესახებ, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია გლობალიზაციის ეპოქაში.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება, თავი 4*
4.8 ვთამაშობთ ლოტოს: „თითოეული ადამიანი სამყაროს ნაწილია“
აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლოტოს თამაშს და ემსახურება ახალგაზრდების მიერ იმის გაცნობიერებას, რომ ყველა ადამიანი სამყაროს ნაწილს წარმოადგენს.

Compass, *თავი 2*
ფრთხილად იყავით, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ
აქტივობა, რომელიც ემსახურება მაისურების კამპანიის სოციალური, ეკონომიკური თუ გარემოზე ზემოქმედების გაცნობიერებას, გლობალურ დონეზე.

სკოლა ახალგაზრდებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უამრავ შესაძლებლობას უქმნის, რაც ახალგაზრდებისათვის ძალიან სასარგებლო და საინტერესოა, როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური განათლების კონტექსტში.

საერთაშორისო გამოცდილება ახალგაზრდებისათვის
- პროგრამა „ახალგაზრდები მოქმედებენ“: *ec.europa.eu/youth*
- სახელმძღვანელო (კამპანიის „ყველა განსხვავებულია, ყველა თანასწორია“ მაგალითები): *www.coe.int/t/dg4/youth/fej/ADAE%20cookbook.pdf*
- ევროპის ახალგაზრდული ფონდი: *www.eyf.coe.int/fej/*

თუ თქვენ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მოღვაწეობთ, შესაძლებელია, თქვენ გაგიჩნდეთ სურვილი, ჯგუფის წევრებს გააცნოთ ზოგიერთი სტრუქტურა, რომლის შესახებაც ისინი არ ფლობენ ინფორმაციას (ე.წ. ქოლგა ორგანიზაციები, საერთაშორისო ფედერაციები და ა.შ.).

» *კითხვები, რომლებიც დაგეხმარებათ ჯგუფის წევრებისათვის საკითხის გაცნობაში:*
  - *ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელსაც თქვენ ეკუთვნით, მხოლოდ ლოკალურად ფუნქციონირებს? მხოლოდ თქვენს ქვეყანაში მოღვაწეობს?*
  - *იგი უფრო დიდი ორგანიზაციის ნაწილს ხომ არ წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო დონეზე მოღვაწეობს?*

მასწავლებელთა და ახალგაზრდების ხელმძღვანელთა პროფესიული მომზადება

ჰკითხეთ თქვენს მასწავლებლებს, როგორ დაეუფლნენ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას. ჰკითხეთ, ბოლოს როდის გაიარეს ტრენინგი ამ მიმართულებით?

» *მიაწოდეთ ჯგუფის წევრებს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა პროფესიული მომზადება თქვენს ორგანიზაციაში ან სკოლების სისტემაში.*
  - *როგორ ფიქრობთ, რატომ არის საჭირო მასწავლებლების მუდმივად გადამზადება?*

» *მიაწოდეთ ჯგუფის წევრებს ინფორმაცია თანასწორთა განათლების შესახებ, რაც არის ერთგვარი გზავნილი, რომ თუ თანატოლებთან უნდა იმუშაონ, ისინი მუდმივად უნდა ზრუნავდნენ თავიანთი კომპეტენციების გაუმჯობესებასა და ცოდნის შეძენაზე.*

შეფასება

ყოველთვის გეძლევა საშუალება, გამოხატო საკუთარი მოსაზრება კონკრეტული აქტივობის ან გაკვეთილის შემდეგ, რომელშიც შენ მონაწილეობა მიიღე?
როგორ შეიძლება, რომ გათვალისწინებული იყოს შენი მოსაზრება?

შეფასება აქტივობების დასრულების შემდეგ

Compasito, თავი III
შეფასებისა და შეჯამების შესაძლებლობები

Compass,
აქტივობები გადამეორებისათვის

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი I: განათლება დემოკრატიისათვის
თავი 5 – მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

კვლევა

სერბეთის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გაერთიანების მიერ ორგანიზებულ იქნა კვლევა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეთა საბჭოების უკეთ ფუნქციონირებისათვის საჭირო მოდელი უნდა მოეძიებინათ ქვეყანაში [...]

» *მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრები გაეცნობიან მაგალითს, დაუსვით მათ შემდეგი კითხვები:*
- *რას ემსახურება ქვეყნის განათლების სისტემის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება?*
- *ოდესმე შეგივსიათ კითხვარი, რომელიც სერბეთის მაგალითში მოყვანილი კითხვარის მსგავსი იყო და რომელიც ეხებოდა თქვენს ქვეყანაში განათლების სისტემის მდგომარეობის შეფასებას?*

ყურადღება მიაქციეთ, რომ სერბეთში ჩატარებული კვლევის მაგალითი უკავშირდება მაგალითს, რომელიც დოკუმენტის 25-ე გვერდზეა მოცემული და რომელიც მოსწავლეთა საბჭოებს ეხება. სერბეთი, მოცემული კანონის მიღების შედეგად, წარმოადგენს ევროპის ერთ-ერთ ქვეყანას, სადაც მოსწავლეთა საბჭოები ხმის უფლებით სარგებლობენ სკოლის საბჭოებში.

კვლევა მხოლოდ კითხვარების საშუალებით არ ხორციელდება. მოცემული დოკუმენტის **მე-5 თავში**, რომელშიც განხილულია „ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის“ პრინციპი, სავარჯიშო, რომელიც რუკაზე ადგილების აღნიშვნას გულისხმობს, გამოიყენება ადგილზე სიტუაციის შესწავლის მიზნით, რომელიც იკვლევს, რამდენად ხელსაყრელია იქ არსებული პირობები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისათვის. ამგვარი ტექნიკის გამოყენება თქვენ შეგიძლიათ შემდგომ კვლევებში.

Compasito, *თავი V*
23. ადამიანის უფლებათა რუკაზე დატანა
აქტივობა, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფლებების რუკაზე დატანას, რა დროსაც ახალგაზრდები ადამიანის ამა თუ იმ უფლებას უკავშირებენ კონკრეტულ ადგილებს, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიგურირებს და რომელიც ემსახურება საზოგადოებაში არსებული ვითარების შეფასებას, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

Compass
გამოცვალე სათვალე
შენობის გარეთ განხორციელებული მარტივი აქტივობა, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების ქუჩაში ან შენობის გარეთ, ნებისმიერ ადგილზე დაკვირვების წარმოებას „სხვისი თვალით“.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი I: *განათლება დემოკრატიისათვის, ნაწილი 3, თავი 2*
ინსტრუმენტთა ნაკრები მოსწავლეებისათვის
ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც განკუთვნილია მოსწავლეებისათვის და რომელიც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას ინტერვიუებისა და გამოკითხვის საშუალებით წარმოებული კვლევების განხორციელების მეთოდებსა და ტექნიკაში და, აგრეთვე, ინტერნეტის საშუალებით წარმოებული კვლევებისათვის საჭირო მეთოდებსა და ტექნიკაში.

გამოცდილების გაზიარება

იმ მაგალითებიდან, რომლებსაც წინამდებარე დოკუმენტში გაეცანით, რომელი იყო ყველაზე საინტერესო თქვენთვის? რატომ?

» *ჯგუფთან ერთად განიხილეთ პასუხები შემდეგ კითხვებზე:*
- *რას ემსახურება, თქვენს ქვეყანაში ან სხვა ქვეყნებში, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებში მიღებული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღება?*
- *ვიდრე მოცემულ ქარტიას გაეცნობოდით, გსმენიათ რაიმე, თქვენს ქვეყანაში ან სხვა ქვეყნებში, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ?*



- თუ თქვენს სკოლას ან ორგანიზაციას აქვს ვებგვერდი, შეგიძლიათ მისი საშუალებით სხვებს გაუზიაროთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებში მიღებული გამოცდილება?

» *გონებრივი იერიშის მეთოდით გამოჰკითხეთ ჯგუფის წევრებს, რა უნდა მოიმოქმედოს ჯგუფმა იმისათვის, რომ საკუთარი გამოცდილება სხვებს გაუზიაროს. მაგალითად:*
  - *გაზეთში ამ საკითხთან დაკავშირებული სტატიის გამოქვეყნება, სკოლის ან ახალგაზრდული ორგანიზაციის ვებგვერდზე მისი გამოქვეყნება;*
  - *სკოლისა ან ახალგაზრდული ორგანიზაციის ვებგვერდზე მოცემულ საკითხთან დაკავშირებული, საინტერესო ვებგვერდების მითითება;*
  - *პოსტერის შექმნა ან გამოფენის მოწყობა;*
  - *წარმოდგენის ორგანიზება.*

Compasito, *თავი IV*
4. რეკლამას ვუკეთებთ ადამიანის უფლებებს
აქტივობა, რომელიც ახალგაზრდებს მედიისადმი კრიტიკული აზროვნებისათვის განაწყობს და რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები ცდილობენ, ჩამოაყალიბონ გეგმა იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშესაწყობად.

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ – წიგნი I: *განათლება დემოკრატიისათვის, ნაწილი 3, თავი 2*
ინსტრუმენტები მოსწავლეებისათვის
სხვადასხვა რჩევა და მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ესა თუ ის აქტივობა, რომელთა უმეტესობაც ჯგუფის წევრებისთვის დასარიგებელი სამუშაო ფურცლების სახით გამოიყენება.

ინფორმაციას ვაწვდით ყველას

რა საშუალებებს შემოგვთავაზებდით, აღნიშნული ქარტიის შესახებ სხვებისათვის ინფორ-მაციის მისაწოდებლად?

» *ჩამონათვალში შეიტანეთ ის გზები და საშუალებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებში, თქვენ მიერ მიღებული გამოცდილების სხვებისთვის გაზიარება.*
  - *თქვენ თავად როგორ შეიტყვეთ ქარტიის არსებობის შესახებ?*
  - *დოკუმენტი „ქარტია ყველასათვის“ განსხვავდება ამავე დოკუმენტის 29-ე გვერდზე მოყვანილი მაგალითისაგან, რომელიც გულისხმობს კამპანიას „ვეცნობით ჩვენს უფლებებს“?*

» *დაეხმარეთ ახალგაზრდებს, გაიაზრონ, თუ როგორ გვეხმარება გამოცდილებების ერთმანეთისათვის გაზიარება იმაში, რომ ერთმანეთის დახმარებით მეტი ინფორმაცია მივიღოთ და გავიღრმაოთ ცოდნა, რომელსაც ვფლობთ მოცემული საკითხის შესახებ.*

▶ ვასრულებთ მუშაობას ქარტიაზე

ახლა, როდესაც თქვენ მეტი შეიტყვეთ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, რა მოსაზრებების გაზიარებას ისურვებდით თქვენს მეგობრებთან მის შესახებ?

» *დაავალეთ ახალგაზრდებს, საკუთარ ბროშურებში „ქარტია ყველასათვის“ ბოლო გვერდზე მოცემულ ცარიელ გრაფში, რომელზეც რუპორია გამოსახული, დაწერონ ერთი წინადადება, რომლის გაზიარებაც მათ სურთ სხვებისათვის და რომელიც ეხება იმას, რაც მათ ქარტიის გაცნობის შედეგად შეიტყვეს ან რაც მათ სურთ, რომ მუდამ ახსოვდეთ.*

როგორც ადრე აღვნიშნეთ, შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებასთან, არამედ ნებისმიერ იმ აქტივობასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ ჯგუფურად ვახორციელებთ. აქედან გამომდინარე, როდესაც ვასრულებთ ქარტიაზე მუშაობას, საჭიროა, შევაფასოთ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაო.

» *ახალგაზრდები დგებიან წრეზე და ერთმანეთს აწოდებენ ბურთს; ყოველი ახალგაზრდა, რომელიც ბურთს მიიღებს, ხმამაღლა ამბობს წინადადებას, რომელიც მან საკუთარ ბროშურაში ჩაწერა. ამგვარად, ჯგუფი ერთად აფასებს, რამდენად სასარგებლო იყო მათთვის ქარტიაზე მუშაობა და რატომ.*
» *გაამხნევეთ ჯგუფის წევრები, რათა მათ საკუთარი შეფასებები სხვა ახალგაზრდებს და, აგრეთვე, იმ გუნდს გაუზიარონ, რომელმაც მოცემული დოკუმენტი მოამზადა.*

ჩვენ სიამოვნებით გავეცნობით ამ მოსაზრებებს და, ასევე, თქვენს პირად შეხედულებებსა და გამოცდილებასაც. გამოგვიგზავნეთ ისინი მისამართზე: edchre@coe.int!

3 დანართები

ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწვლების შესახებ

დამტკიცებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციის CM/Rec (2010)7 ფარგლებში

შესავალი

განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებების ხელშეწყობისა და დამკვიდრების საქმეში, ღირებულებებისა, როგორებიცაა: დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციის საქმეში. ზოგადად, განათლება დღითი დღე უფრო და უფრო მეტად არის მიჩნეული როგორც ძალადობის, რასიზმის, ექსტრემიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის თავიდან აცილების ეფექტური საშუალება. ამის უდავო დასტურია ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოს მიერ, რეკომენდაციის CM/Rec (2010)7 ფარგლებში მიღებული ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ („დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება“). ქარტიაზე მუშაობა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, იგი შედეგია ფართომასშტაბიანი კონსულტაციებისა და აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

ქარტია წარმოადგენს სახელმძღვანელოს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში ჩართული პირებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ იგი გახდება წევრ-სახელმწიფოთა მხრიდან ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებების სახელმძღვანელო და კატალიზატორი, ისევე, როგორც საუკეთესო პრაქტიკის გავრცელება-დანერგვისა და სტანდარტების ამაღლების საშუალება, როგორც ევროპის ფარგლებში, ასევე, მის მიღმა.

ნაწილი I - ზოგადი დებულებები

1. გამოყენების სფერო

წინამდებარე ქარტია ეხება განათლებას დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა სწავლებას, როგორც ეს განმარტებულია მუხლში 2. იგი უშუალოდ არ ეხება დაკავშირებულ სფეროებს, როგორებიცაა კულტურათაშორისი განათლება, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განათლება მდგრადი განვითარებისათვის და განათლება მშვიდობისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი სფეროები უკავშირდება განათლებას დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა სწავლებას.

2. განმარტებები

წინამდებარე ქარტიით სარგებლობისათვის საჭიროა შემდეგი განმარტებები:

ა) „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის“ ნიშნავს განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა და საქმიანობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარებისა და ნათელი წარმოდგენების განვითარებისა თუ დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდება, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, გამოიყენონ და დაიცვან მათთვის მინიჭებული დემოკრატიული უფლებები და ვალდებულებები საზოგადოებაში, დააფასონ მრა-

ვალფეროვნება და აქტიური როლი ითამაშონ დემოკრატიული ცხოვრების წესში, დემოკრატიის პრინციპებისა და კანონის უზენაესობის დანერგვისა და დაცვის საშუალებით.

ბ) „ადამიანის უფლებათა სწავლება“ ნიშნავს განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა და საქმიანობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარებისა და ნათელი წარმოდგენების განვითარებისა თუ დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდება, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა საყოველთაო კულტურის დანერგვისა და დაცვის საქმეში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დანერგვისა და დაცვის თვალსაზრისით.

გ) „ფორმალური განათლება“ წარმოადგენს განათლებისა და წვრთნის სტრუქტურულ სისტემას, რომელიც მოიცავს დაწყებითი სკოლამდელიდან და დაწყებითი სკოლიდან, საშუალო სკოლის ჩათვლით, საგანმანათლებლო სისტემას უნივერსიტეტამდე. იგი, ჩვეულებრივ, ხორციელდება ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და გულისხმობს კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატების გადაცემას.

დ) „ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული განათლება“ ნიშნავს ნებისმიერ დაგეგმილ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც შექმნილია გარკვეული უნარებისა და კომპეტენციების გასაუმჯობესებლად და რომელიც ხორციელდება ფორმალური საგანმანათლებლო გარემოდან დამოუკიდებლად.

ე) „არაფორმალური განათლება“ ნიშნავს მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე პროცესს, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდუალური პიროვნება იძენს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებსა და ცოდნას, საგანმანათლებლო რესურსებისა და ამ რესურსების გავლენის საშუალებით, საკუთარ გარემოში თუ ყოველდღიური გამოცდილებიდან (ოჯახში, თანატოლების გარემოცვაში, მეზობლების წრეში, ნაცნობებთან ურთიერთობისას, ბიბლიოთეკაში, მასმედიის საშუალებით, სამუშაო ადგილზე, გართობისა და სპორტული შეჯიბრებების თავშეყრის ადგილზე და ა.შ.).

3. კავშირი დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას შორის

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებს.

მათ საერთო მიზნები და გამოყენების სფერო აქვთ, განსხვავება მხოლოდ შესწავლის საკითხებსა და პრიორიტეტებშია გამოხატული. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების პრიორიტეტს უწინარესად წარმოადგენს დემოკრატიული უფლებები და მოვალეობები, ისევე როგორც საზოგადოების სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პროცესებში აქტიური მონაწილეობა; მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა სწავლება ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ფართო სპექტრზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში.

4. კონსტიტუციური სტრუქტურები და წევრი ქვეყნების პრიორიტეტები

გამოყენებულ უნდა იქნეს ქვემოთ ჩამოყალიბებული მიზნები, პრინციპები და სტრატეგიები:

ა) საჭიროა, გათვალისწინებულ იქნეს თითოეული წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციური სტრუქტურა და გამოყენებულ იქნეს საშუალება, რომელიც შეესაბამება მოცემულ სტრუქტურებს;

ბ) საჭიროა, გათვალისწინებულ იქნეს თითოეული წევრი სახელმწიფოს პრიორიტეტები და საჭიროებები.

ნაწილი II - მიზნები და პრინციპები

5. მიზნები და პრინციპები

საკუთარი პოლიტიკური კურსისა და კანონმდებლობის შემუშავებისა და პრაქტიკის დანერგვისას, წევრმა სახელმწიფოებმა, საჭიროა, იხელმძღვანელონ ქვემოთ მოყვანილი მიზნებითა და პრინციპებით.

ა) მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი პირისათვის დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ბ) დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ფარგლებში ცოდნის შეძენა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ამ სფეროში ეფექტური სწავლა მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, მათ შორის, პოლიტიკურ მოღვაწეებს, საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მშობლებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განათლების სფეროს ხელმძღვანელებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და ფართო საზოგადოებას.

გ) განათლებისა და წვრთნის ყველა საშუალებას, ფორმალური იქნება იგი, ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული თუ არაფორმალური, საკუთარი ფუნქცია ეკისრება სწავლის მოცემულ პროცესში და მნიშვნელოვანია თითოეული საშუალების წვლილი მისი პრინციპების ხელშეწყობისა და მიზნების გახორციელების საქმეში.

დ) დიდია არასამთავრობო თუ ახალგაზრდული ორგანიზაციების წვლილი დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების განხორციელებაში, განსაკუთრებით, ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული და არაფორმალური განათლების ფარგლებში და, შესაბამისად, საჭიროა მათთვის შესაძლებლობების შექმნა და მათი მხარდაჭერა, რათა არასამთავრობო და ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა შეძლონ თავიანთი წვლილის შეტანა ამ საქმეში.

ე) სწავლებისა და სწავლის პრაქტიკა და საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ღირებულებებსა და პრინციპებზე დაყრდნობითა და მათი ხელშეწყობის საშუალებით; განსაკუთრებით, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის, სკოლების მმართველი ორგანოები, თავიანთი საქმიანობების განხორციელებისას, უნდა ხელმძღვანელობდნენ ადამიანის უფლებათა ღირებულებებით და ხელს უწყობდნენ მოსწავლეებისა და სტუდენტთა, მოსწავლეებისა და სტუდენტების განათლებაზე პასუხისმგებელი პერსონალისა და ყველა დაინტერესებული სუბიექტის, მათ შორის, მშობლების აღჭურვას უფლებამოსილებით, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო დაწესებულების მიერ განხორციელებულ პროცესებში.

ვ) ზოგადად, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების არსებით ელემენტს წარმოადგენს სოციალური ერთობისა და კულტურათშორისი დიალოგის ხელშეწყობა, აგრეთვე, მრავალფეროვნებისა და თანასწორუფლებიანობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის დაფასება; ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია ცოდნის შეძენა, პიროვნული და სოციალური უნარების გამომუშავება და ნათელი წარმოდგენების შექმნა, რაც ამცირებს კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობებს და ზრდის სხვადასხვა რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფს შორის განსხვავებათა ჯეროვნად შეფასებისა და გაგების შესაძლებლობებს, ქმნის ადამიანური ღირსებებისადმი ურთიერთპატივისცემის გარემოს და საერთო ღირებულებებს, ხელს უწყობს დიალოგის წარმოებას და პრობლემებისა და საკამათო საკითხების ძალადობის გარეშე მოგვარებას.

ზ) დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ერთ-ერთ არსებით მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა და სტუდენტთათვის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, ნათელი წარმოდგენების შექმნა და უნარების გამომუშავება, არამედ საზოგადოებაში მოქმედებისათვის მზადყოფნისათვის მათი მომზადება, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის მზადყოფნაში.

თ) განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიონალთა და ახალგაზრდა ხელმძღვანელთა, ისევე, როგორც თავად ტრენერების წვრთნისა და განვითარების მიმდინარე პროგრამა, რომელიც მათ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პრინციპებსა და პრაქტიკაში გაწვრთნას გულისხმობს, წარმოადგენს ამ სფეროში ეფექტური განათლების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას და, შესაბამისად, საჭიროა ამ პროგრამის სათანადოდ დაგეგმვა და რესურსებით უზრუნველყოფა.

ი) საჭიროა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაღრმავება დაინტერესებულ სუბიექტთა ფართო სპექტრის იმ წარმომადგენელთა შორის, რომლებიც ჩაბმულნი არიან დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესში, როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ თითოეული ამ სუბიექტთაგანი მაქსიმალურად მოახერხებს საკუთარი წვლილის შეტანას საერთო მიზნისაკენ სვლის საქმეში; პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწ-

ყობა საჭიროა პოლიტიკურ მოღვაწეებს, საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მშობლებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განათლების სფეროს ხელმძღვანელებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და ფართო საზოგადოებას შორის.

კ) ადამიანის უფლებათა ღირებულებებისა და ვალდებულებების საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე, და, აგრეთვე, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის საერთო საზოგადო პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია, წევრი ქვეყნების მიერ წახალისებულ და ხელშეწყობილ იქნეს თანამშრომლობა საერთაშორისო და რეგიონულ დონეებზე, იმ საქმიანობებთან დაკავშირებით, რომელსაც გულისხმობს წინამდებარე ქარტია და, ასევე, საჭიროა საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარების ხელშეწყობა.

ნაწილი III - პოლიტიკური კურსი

6. ზოგადი და პროფესიული ფორმალური განათლება

წევრ ქვეყნებს ევალებათ, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ჩართვა როგორც სკოლამდელ, დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ფორმალური განათლების სასწავლო პროგრამებში, ასევე, ზოგადი და პროფესიული განათლებისა და წვრთნების პროგრამებში. წევრ ქვეყნებს, ასევე, ევალებათ, ამ სასწავლო პროგრამების ფარგლებში, გააგრძელონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების მხარდაჭერა, შემოწმება და მოდერნიზება, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა სწავლება იქნება შესაბამისი და შენარჩუნებულ იქნება ამ მიმართულებით გატარებული კურსის მდგრადობა.

7. უმაღლესი განათლება

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვით, ხელი შეუწყონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების დანერგვას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით, იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც მომავალში საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალებად უნდა ჩამოყალიბდნენ.

8. დემოკრატიული განათლება

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელი შეუწყონ დემოკრატიულ მმართველობას, როგორც მმართველობის თავისთავად სასურველ და სარგებლის მომტან მეთოდს და, ასევე, დემოკრატიის სწავლებისა და განხორციელების და ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრაქტიკულ საშუალებას. მათ ევალებათ, სათანადო საშუალებების გამოყენებით, წაახალისონ და ხელი შეუწყონ მოსწავლეებისა და სტუდენტების, მოსწავლეებისა და სტუდენტების განათლებაზე პასუხისმგებელი პერსონალისა და ყველა დაინტერესებული სუბიექტის, მათ შორის, მშობლების აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველობაში.

9. წვრთნა

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, უზრუნველყონ მასწავლებლების, მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლებაზე პასუხისმგებელი სხვა პერსონალის, მოსწავლეებისა და სტუდენტების კავშირთა ხელმძღვანელებისა და ტრენერების პირველდაწყებითი და მიმდინარე წვრთნა და განვითარება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ მათ სრულყოფილი ცოდნა და ნათელი წარმოდგენა ექნებათ მოცემული დისციპლინის მიზნებისა და პრინციპების, და შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესახებ, ისევე, როგორც სხვა უნარ-ჩვევები, რომლებიც უკავშირდება მოცემულ სფეროში განათლებას.

10. არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტთა როლი

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, ხელი შეუწყონ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, რათა მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების საქმეში, განსაკუთრებით, ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მი-

ღებული განათლების სფეროში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ ამ ორგანიზაციათა ღვაწლი და განათლების სისტემაში მათი საქმიანობის მნიშვნელობა, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება იქ, სადაც არსებობს ამის საშუალება და ხელი შეუწყონ მსგავს ორგანიზაციებს, რათა მათ შეძლონ, მაქსიმალურად გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება და საკუთარი წვლილი შეიტანონ განათლების ყველა ფორმაში.

წევრმა სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა უზრუნველყონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების გასაჯაროება და დაინტერესებული სუბიექტების, განსაკუთრებთ, მედიასაშუალებებისა და ფართო საზოგადოების ჩართულობა ამ სფეროში, რათა დაინტერესებულ სუბიექტებს საშუალება მიეცეთ, მაქსიმალური წვლილი შეიტანონ ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებში.

11. შეფასების კრიტერიუმები

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. ყველა მსგავსი შეფასების განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიერ გაკეთებული კომენტარები და შენიშვნები.

12. კვლევა

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში კვლევის ინიცირება და ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ შეფასებების გაკეთებას და დაინტერესებული სუბიექტებისათვის, მათ შორის, პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სკოლების ხელმძღვანელებისათვის, მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისა და ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც დაეხმარება მათ, შეაფასონ და გაზარდონ თავიანთი ეფექტურობა და ეფექტიანობა და გაუმჯობესონ მათ მიერ წარმოებული პრაქტიკა. მსგავსი კვლევა, გარდა სხვა დანარჩენისა, უნდა მოიცავდეს სასწავლო პროგრამების კვლევას, ინოვაციურ პრაქტიკას, სწავლების მეთოდებს და შეფასების სისტემათა, მათ შორის, შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემათა განვითარებას. წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, საკუთარი კვლევის შედეგები გაუზიარონ სხვა წევრ სახელმწიფოებს და დაინტერესებულ სუბიექტებს იქ, სადაც ამის საჭიროება არსებობს.

13. სოციალური ერთობის განმტკიცების, მრავალფეროვნების დაფასებისა და უთანხმოებებისა და კონფლიქტების მოგვარების უნარი

განათლების ყველა სფეროში, წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, წინ წამოწიონ საგანმანათლებლო მიდგომა და სწავლების მეთოდები, რომლებიც ემსახურება დემოკრატიულ და მულტიკულტურულ საზოგადოებაში თანაცხოვრების სწავლის მიზანს და, ასევე, რომლებიც საშუალებას აძლევს შემსწავლელ სუბიექტს, შეიძინოს სათანადო ცოდნა და უნარები, რომელიც მას დაეხმარება სოციალური ერთობის ხელშეწყობაში, მრავალფეროვნებისა და თანაბარუფლებიანობის დაფასებაში, განსხვავებათა ჯეროვნად შეფასებასა და გაცნობიერებაში – განსაკუთრებით, სხვადასხვა რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფს შორის არსებულ განსხვავებათა შეფასებაში – და უთანხმოებათა და კონფლიქტურ სიტუაციათა არაძალადობრივი გზით მოგვარებაში, ისე, რომ დაცული იყოს ყველა მონაწილე მხარის უფლება და, აგრეთვე, დისკრიმინაციისა და ძალადობის ყველანაირი სახის გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით, როდესაც ადგილი აქვს დაშინებასა და ჩაგვრას.

ნაწილი IV - შეფასება და თანამშრომლობა

14. შეფასება და შემოწმება

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, რეგულარულად აწარმოონ იმ სტრატეგიებისა და კურსის შეფასება, რომელიც მათ მიერ იქნა შერჩეული წინამდებარე ქარტიასთან დაკავშირებით და, საჭიროების შემთხვევაში, ამ სტრატეგიებსა და კურსში შეიტანონ სათანადო ცვლილებები. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია სხვა წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით, მაგალითად, რეგულარული კონსულტაციებისა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის საშუალებით. ასევე, ნებისმიერ წევრ ქვეყანას აქვს საშუალება, დახმარებისათვის მიმართოს ევროპის საბჭოს.

15. თანამშრომლობა შემდგომი საქმიანობისას

საშუალების არსებობის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, ევროპის საბჭოს საშუალებით, წინამდებარე ქარტიაში დასახული მიზნებისა და პრინციპების განხორციელების საქმეში, შემდეგი გზებით:

ა) მოქმედებდნენ შეთანხმებულად, საერთო ინტერესების შესახებ და პრიორიტეტულ საკითხებში;

ბ) ხელს უწყობდნენ მრავალმხრივ და ტრანსსასაზღვრო საქმიანობას, მათ შორის, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში მოღვაწე კოორდინატორთა არსებული ქსელის საშუალებით;

გ) აწარმოებდნენ მოცემულ სფეროში დაგროვილი საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა-გამოცვლას, განვითარებას, კოდიფიცირებასა და გავრცელებას;

დ) უზრუნველყოფდნენ ყველა დაინტერესებული სუბიექტის, მათ შორის, საზოგადოების ინფორმირებულობას წინამდებარე ქარტიის მიზნებისა და განხორციელების შესახებ;

ე) ხელს უწყობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალთა ევროპული ქსელების მოღვაწეობასა და მათ შორის თანამშრომლობას.

16. თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, გაუზიარონ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს მათ მიერ, ევროპის საბჭოს ფარგლებში, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში ჩატარებული სამუშაოების შედეგები.

▶ სამუშაო ფურცელი: დემოკრატია და ადამიანის უფლებები იწყება ჩვენით: სად ვდგავართ?

▶ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების რუკა (შემდეგ გვერდზე)

Council of Europe
Conseil de l'Europe

47 Member States
États membres

Albania - Albanie
Tirana

Estonia - Estonie
Tallinn

Lithuania - Lituanie
Vilnius

San Marino - Saint-Marin
San Marino - Saint-Marin

Andorra - Andorre
Andorra-la-Vella
Andorre-la-Vieille

Finland - Finlande
Helsinki

Luxembourg
Luxembourg

Serbia - Serbie
Belgrade

Armenia - Arménie
Yerevan - Erevan

France
Paris

Malta - Malte
Valletta - La Valette

Slovakia - Slovaquie
Bratislava

Austria - Autriche
Vienna - Vienne

Georgia - Géorgie
Tbilisi - Tbilissi

Republic of Moldova - République de Moldova
Chişinău

Slovenia - Slovénie
Ljubljana

Azerbaijan - Azerbaïdjan
Baku - Bakou

Germany - Allemagne
Berlin

Monaco
Monaco

Spain - Espagne
Madrid

Belgium - Belgique
Brussels - Bruxelles

Greece - Grèce
Athens - Athènes

Montenegro - Monténégro
Podgorica

Sweden - Suède
Stockholm

Bosnia and Herzegovina
Bosnie-Herzégovine
Sarajevo

Hungary - Hongrie
Budapest

Netherlands - Pays-Bas
Amsterdam

Switzerland - Suisse
Bern - Berne

Bulgaria - Bulgarie
Sofia

Iceland - Islande
Reykjavik

Norway - Norvège
Oslo

"The former Yugoslav Republic of Macedonia" - "L'ex-République yougoslave de Macédoine"
Skopje

Croatia - Croatie
Zagreb

Ireland - Irlande
Dublin

Poland - Pologne
Warsaw Varsovie

Cyprus - Chypre
Nicosia - Nicosie

Italy - Italie
Rome

Portugal
Lisbon - Lisbonne

Turkey - Turquie
Ankara

Czech Republic - République Tchèque
Prague

Latvia - Lettonie
Riga

Romania - Roumanie
Bucharest - Bucarest

Ukraine
Kyiv - Kiev

Denmark - Danemark
Copenhagen - Copenhague

Liechtenstein
Vaduz

Russian Federation - Fédération de Russie
Moscow - Moscou

United Kingdom - Royaume-Uni
London - Londres

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

Map for illustrative purposes
Carte à caractère illustratif
Designed by Latitude Mapping Ltd

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა დემოკრატიული მოქალაქეობისა და მონაწილეობის დირექტორატთან (განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი) თანამშრომლობის საფუძველზე და ევროპის საბჭოს პროგრამის „ვაშენებთ ევროპას ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად“ ფარგლებში. პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ბევრი პარტნიორის მონაწილეობითა და დახმარებით, მათ შორის, მასწავლებელთა ტრენინგებსა და მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების, ბავშვებისა და ახალგაზრდების. გვსურს, პროექტის გახორციელებაში შეტანილი წვლილი-სათვის განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ევროპის სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებების საორ-განიზაციო ბიუროსა ((OBESSU) Organising Bureau of European School Student Unions) და IFM-SEI ორგანიზა-ციას (International Falcon Movement – Socialist Educational International).

ევროპის საბჭო, რომელიც 1949 წელს შეიქმნა, აერთიანებს ქვეყნებს, რომელთაც საერთო ღირებულებები აქვთ ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სახით. ევროპის საბჭოს ქარტია, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ეხება, განათლების სფეროში და განათლების საშუალებით, სწორედ ამ ღირებულებათა ხელშეწყობას ემსახურება. ქარტიის მოცემული ვერსია („ქარტია ყველასათვის“) განკუთვნილია ნებისმიერი ადამიანისათვის და, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისათვის, რომელთაც სურთ, შეიტყონ, თუ რას ეხება მოცემული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი და როგორ შეიძლება მისი გამოყენება, როგორც საკლასო გარემოში, ასევე, ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებაში, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამკვიდრების მიზნით. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს მასწავლებელთა და მასწავლებელთა მომზადების სფეროში მოღვაწე პირების დახმარება და მათთვის რეკომენდაციების მიწოდება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობა დოკუმენტზე: „ქარტია ყველასათვის“.

ევროპის საბჭო, რომელიც 47 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს, ევროპის თითქმის მთელ კონტინენტს მოიცავს. მის მიზანს წარმოადგენს საერთო დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპების შექმნა, რომლებიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე და სხვა მსგავს დოკუმენტებზე, რომლებიც პიროვნებათა დაცვას ემსახურება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული მოვლენების დროს, 1949 წელს მისი დაარსებიდან მოყოლებული, ევროპის საბჭო შერიგებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენს.

ევროპის საბჭოს ქარტია

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ

www.coe.int/edchre

ელ-ფოსტა: edchre@coe.int

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE